

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი



ზ უ რ ა ბ ნ ი ქ ა რ ი ძ ე

**უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საინვესტიციო გარემოს ფორმირება და
ბიზნესის ეფექტიანობის ფაქტორების განსაზღვრა საქართველოში**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და
სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: დავით ბიძინაშვილი
პროფესორი

გორი

2020

0

ანოტაცია

ინვესტიცია წარმოადგენს აუცილებელ ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც დიდი როლს თამაშობს ეკონომიკის როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე - პირველ რიგში, უბრალო და ფართო თვითნარმოებაში, სტრუქტურულ გარდაქმნებში და შემდგომ მოგების მიღებასა და ამის საფუძველზე სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. ჩემი აზრით, ის წარმოადგენს დროებით თავისუფალი სახსრების (გამოუყენებლის და დაგროვებულის შემოსავლის მოხმარებისთვის) ჩადებას სამენარმეო საქმიანობაში მოგების მიღების (ან მისი ღირებულების შენარჩუნების) მიზნით და პერსპექტივაში ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ეფექტის მისაღწევად.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდა და მის მიმართ არსებული ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები ჩვენი ქვეყნის აქტუალურ საკითხთა ჩამონათვალს მიეკუთვნება. უცხოური ინვესტიციები, როგორც მოგვეხსენებათ, არის ეკონომიკური ზრდის ფაქტორი, კაპიტალის ინვესტიციის დამატებითი წყარო საქონლისა და მომსახურების ეროვნულ წარმოებაში, რასაც თან ახლავს ტექნოლოგია, ნოუ-ჰაუ, მართვის უახლესი მეთოდები და ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურისა და დინამიკის გადაცემა. მიუხედავად სახელმწიფო ინვესტიციების მნიშვნელოვანი პოტენციური სარგებლიანობისა, პრაქტიკაში მათი ეფექტიანი მართვა მრავალ გამოწვევასთან არის დაკავშირებული და სახელმწიფო კაპიტალური ინვესტიციების გამოშვებაზე გავლენის როგორც მიმართლება, ისე ზომა დებატების საგნად რჩება. ბუნებრივია, კონკრეტული პროექტის ეკონომიკური სარგებელი შესაბამისი ანალიზით (მ.შ. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზით) ფასდება. თუმცა სახელმწიფო ინვესტიციების გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე სხვადასხვა ფაქტორები განსაზღვრავს, როგორებიც არიან: მაგ. ქვეყნის განვითარების დონე, ეკონომიკური ციკლის ეტაპი, განხორციელებული ინვესტიციების ტიპი და დაფინანსების წყარო. არსებული ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა საქართველოს რეგიონების განვითარების დაჩქარებაში მათი ინვესტიციური პოტენციალის ამაღლების

გზები, წარმოდგენილია ღონისძიებათა სისტემა საქართველოს რეგიონების ინვესტიციური გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის.

Annotation

Zurab Tsikaridze

Formation of investment environment for attracting foreign investments and determination of business efficiency factors in Georgia

Investments play an essential role in achieving high rates of economic development and economic growth in Georgia.

Investment is an essential economic category that plays a major role in both the macro and micro levels of the economy - first and foremost in simple and extensive self-production, structural transformations, and then in making a profit and solving social problems based on it. In my view, it is the investment of temporarily free funds (for the consumption of accumulated and unused income) in order to make a profit (or maintain its value) in entrepreneurial activity and to achieve a social, economic and ecological effect in the long run. The growth of foreign investment in Georgia and the issues of economic policy towards it are among the topical issues of our country.

Foreign investment, as you know, is a factor of economic growth, an additional source of capital investment in the national production of goods and services, accompanied by technology, know-how, the latest management methods and the transmission of the structure and dynamics of the country's economy.

Despite the significant potential benefits of public investment, their effective management in practice is fraught with challenges, and both the size and direction of the impact on the outflow of public capital remain a matter of debate. Naturally, the economic benefits of a particular project are assessed by appropriate analysis (including cost-benefit analysis). However, the impact of public investment on economic growth is determined by various factors, such as e.g. Source of funding, stage of the economic cycle, type of investments made and level of development of the country.

Based on the existing analysis, ways to increase their investment potential in accelerating the development of the regions of Georgia have been established, and a system of measures to promote the improvement of the investment environment in the regions of Georgia has been presented.

შინაარსი

შესავალი -----	4
თავი 1. უცხოური ინვესტიციების თეორიულ - პრაქტიკული ასპექტები და მათი სტიმულირების თავისებურებები საქართველოში -----	7
1.1. უცხოური ინვესტიციების არსი და ფორმები; -----	7
1.2. სახელმწიფოს როლი ინვესტიციების და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ურთიერთკავშირს შორის; -----	16
თავი II გლობალიზაციის პირობებში საინვესტიციო აქტივობა საქართველოში და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე -----	28
2.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი და შემათავსებელი ფაქტორები; -----	28
2.2. სამეწარმეო საქმიანობის საინვესტიციო უზრუნველყოფის გზები საქართველოში -----	43
თავი III საგადასახადო პოლიტიკის გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე ---	54
3.1. საგადასახადო პოლიტიკასა და ინვესტიციებს შორის კავშირი თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში; -----	54
3.2. საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის გზები ური ინვესტიციების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით; -----	61
დასკვნები და რეკომენდაციები -----	74
გამოყენებული ლიტერატურა -----	78

თემის აქტუალობა. გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ქართული ეკონომიკის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკაში, რომელსაც როგორც ინვესტორისთვის, ასევე ქვეყნის ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგებისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია. ამიტომ ქართული ეკონომიკის სწორი განვითარებისათვის გრძელვადიანი ინვესტიციების ჩართულობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მაშასადამე, სამეურნეო საქმიანობაში ინვესტიციების მართვის ეფექტიანობას განმსაზღვრელი პირობა და მნიშვნელოვანი ფაქტორი ენიჭება.

ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი სწორად ვერ აფასებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკაში და მათ მიაჩნიათ, რომ ინვესტიცია რაღაც ფორმით რისკის შემცველი არის, თუმცა შემოსავლის სტაბილურობის თვალსაზრისით ერთ-ერთი საიმედო წყაროა.

ინვესტიციების მოცულობის გაზრდის თვალსაზრისით არსებით ფაქტორს წარმოადგენს ეფექტიანი საინვესტიციო გარემოს შექმნა.

თუ საინვესტიციო გარემოს ფაქტორებს გავითვალისწინებთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც ე.წ. ტრადიციულ (ბაზრის ტევადობა და რესურსები) ისე ინსტიტუციურ ფაქტორებს.

მენარმეებისათვის აქტუალური არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის პერიოდული გაანგარიშება და სათანადო ანალიზის გაკეთების შემდეგ სამომავლო გეგმების შემუშავება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მენარმე ვერ მიაღწევს გარკვეულ წარმატებას, თუ სწორად არ დაგეგმავს თავის საქმიანობას. საწარმოების სრულყოფილი მუშაობა კი დამოკიდებული არის კაპიტალის დაბანდებასთან, ანუ ინვესტიციების მოზიდვასთან. ამისათვის კი აუცილებელია არგუმენტირებული წინადადებების წარდგენა, რომელიც ბიზნესის განვითარების ამოსავალი წყაროა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის ძირითადი მიზანია საქართველოში და მის ცალკეულ რეგიონებში საინვესტიციო პროცესების განვითარება-ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული პრობლემების და მათი დაძლევის გზების, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებზე საგადასახადო ფაქტორების, ბიზნეს პროცესებზე ინვესტიციური პოტენციალის ზეგავლენის მასშტაბების შესწავლა.

საკვლევი თემის მიზნიდან გამომდინარე კვლევის ამოცანებია:

- საქართველოს ეკონომიკაში მოზიდული უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის განსაზღვრა და კვლევის შედეგების საფუძველზე შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენა და აღმოფხვრის გზების ძიება;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამოყენებაზე საბაჟო-საგადასახადო პოლიტიკის გავლენის გზების ძიება;
- საინვესტიციო გარემოს სამართლებრივი უზრუნველყოფა და დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმის ამოქმედების შესაძლებლობა;
- საინვესტიციო - საფინანსო პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა და კონცეფციის შემუშავება;
- უცხოური ინვესტიციების გავლენა შრომის ბაზრის სტრუქტურაზე;
- რეკომენდაციების შემუშავება ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის.

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტი არის საქართველოს საინვესტიციო გარემო და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი მისი გაუმჯობესების პროცესში.

კვლევის საგანი. ამ თემის კვლევის საგანი არის ინვესტიციური პროცესების მართვის მეთოდური და მეთოდოლოგიური საკითხები, ინვესტიციების გავლენა ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაციაზე და უცხოურ ინვესტიციებსა და საგადასახადო ფაქტორებს შორის კავშირის ანალიზი.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. წარმოდგენილ ნაშრომში დასმული პრობლემების, განხილული საკითხების შესწავლისა და კვლევის მეთოდოლოგიურ და თეორიულ საფუძველს წარმოადგენს უცხოელი და ადგილობრივი ავტორების გამოკვლევები, საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებისა და მართვის შესახებ საკითხები; სისტემური მიდგომიდან გამომდინარე, საკვლევი ობიექტის განხილვისას გამოვიყენეთ სინთეზისა და ანალიზის, დედუქციის, იდუქციის და სხვა მეთოდები, ასევე ეკონომიკურ მეცნიერებებში აღიარებული დებულებები და ინვესტირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები. ხოლო საინფორმაციო ბაზად გამოყენებული იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და მრავალი სხვა ორგანიზაციის მონაცემები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის შესწავლა საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე, კვლევისას მოპოვებულია შესაბამისი სტატისტიკური მასალა და გაკეთებულია დასკვნები საგადასახადო პოლიტიკის შედარებითი წონის შესახებ საინვესტიციო გარემოს სხვა ფაქტორებთან მიმართებაში, ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია საქართველოს რეგიონების განვითარების დაჩქარებაში მათი ინვესტიციური პოტენციალის ამაღლების როლი, შემოთავაზებულია ღონისძიებათა სისტემა საქართველოს რეგიონების ინვესტიციური გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის. გაანალიზებულია ინვესტიციების ზემოქმედება შრომის ბაზარზე და მის სტრუქტურაზე; გამოვლენილია საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების მოტივაციები, აგრეთვე შეფასებულია მათი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, დარგისა და ქვეყნის მახასიათებლების გათვალისწინებით.

თავი 1. უცხოური ინვესტიციების თეორიულ-პრაქტიკული ასპექტები და მათი სტიმულირების თავისებურებები საქართველოში

1.1. უცხოური ინვესტიციების არსი და ფორმები

ინვესტიცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა (investire-შემოსვა) და ნიშნავს კაპიტალის გრძელვადიან დაბანდებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში. ინვესტიციის განმარტების სხვადასხვა გზები არსებობს: „ფულთან განშორება დღეს, ხვალ უფრო მეტის მიღების მიზნით“ (უ. შარპი); ინვესტიციები არის დანაზოგების გამოყენება ძველის აღსადგენად და ახალი საწარმოო სიმძლავრეების და სხვა კაპიტალური აქტივების შექმნის მიზნით.

დროთა განმავლობაში, „ტერმინმა ინვესტიცია“ უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და მისი გამოყენება დაიწყო საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში. დღევანდელი გაგებით კი „ინვესტიცია“ მოგების მიღების მიზნით ფინანსური ან/და არაფინანსური აქტივების დაბანდებას ნიშნავს. ისტორიის მანძილზე ტერმინმა გარკვეული ცვლილებები განიცადა და მისი გამოყენება დაიწყო სხვადასხვა ეკონომიკური მიმართულებებით. ეკონომიკური ტერმინოლოგიით „ინვესტიცია“ მოგების მიზნით განხორციელებული

ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაბანდვას ნიშნავს. გრეგორი მენქიუს მიხედვით "კაპიტალურ ინვესტიციას, რომლის მფლობელი და წარმმართველია უცხოური ფირმა პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ეწოდება."

უცხოური ინვესტიციები, როგორც მოგეხსენებათ, არის ეკონომიკური ზრდის ფაქტორი, კაპიტალის ინვესტიციის დამატებითი წყარო მომსახურებისა და საქონლის ეროვნულ წარმოებაში, რასაც თან ახლავს ნოუ-ჰაუ, ტექნოლოგია, მართვის უახლესი მეთოდები და ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურისა და დინამიკის გადაცემა.

გლობალიზაციის პირობებში, საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობის მზარდი მასშტაბით, იზრდება ინვესტიციების როლი, როგორც ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ამ თემას აყალიბებს ჩვენს დროში. უცხოური კაპიტალი ინვესტირებულია სხვადასხვა ტიპის სამენარმეო¹ საქმიანობისათვის საზღვარგარეთ, სამენარმეო მოგების ან პროცენტის წარმოების მიზნით. უცხოურ ინვესტიციას შეუძლია მიიღოს სხვადასხვა ფორმა. ამ ფორმების ანალიზისას შეიძლება გამოყენებულ იქნას ინვესტიციების კლასიფიკაციის ზოგადი მიდგომები, რაც მიგვითითებს მათი გამოყოფის მიხედვით მიზნებს, ობიექტებს, ინვესტიციების პირობებს, საინვესტიციო რესურსების საკუთრების ფორმებს, რისკებსა და სხვა ნიშნებს. ამასთან, უცხოური ინვესტიციის სპეციფიკა განსაზღვრავს უამრავი კლასიფიკაციის მახასიათებლის გარკვევას, ამ ტიპის ინვესტიციასთან მიმართებაში. ამგვარად, საკუთრების მიხედვით, უცხოური ინვესტიციები შეიძლება იყოს საჯარო, კერძო და დაკავშირებული. სახელმწიფო ინვესტიციები არის სახელმწიფო ბიუჯეტების სახსრები, რომლებიც გაგზავნილია უცხოეთში, სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციების გადანაცვებით. ამ თანხების უზრუნველყოფა შესაძლებელია სახელმწიფო სესხების, საგრანტო სესხების, დახმარების სახით.

ინვესტიცია სხვადასხვა ტიპისაა. დაბანდების ადგილის მიხედვით ინვესტიცია ორ ნაწილად იყოფა, ესენია: 1) ადგილობრივი და 2) უცხოური. ადგილობრივია ინვესტიცია,

¹ჭარაია ვახტანგ, სადისერტაციო ნაშრომი „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის (საქართველოს მაგალითზე)", ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი; გვ.9

რომლის დროსაც ინვესტიცია ხორციელდება რეზიდენტი პირის მიერ, ხოლო უცხოურია ინვესტიცი არის, რომელიც ხორციელდება არარეზიდენტი პირის მიერ უცხო ქვეყანაში. ინვესტიციები შინაარსის მხრივ ორ ნაწილად იყოფა ესენია: კერძო (არასახელმწიფოებრივი) ინვესტიციები არის კერძო ინვესტორების ფონდები, რომლებიც ინვესტიციურებულია ინვესტიციურ ობიექტებში, რომლებიც მდებარეობს მოცემული ქვეყნის ტერიტორიული საზღვრების გარეთ. შერეული უცხოური ინვესტიციები ნიშნავს სახელმწიფო და კერძო ინვესტორების ერთად განხორციელებულს უცხოეთში. გამოყენების ხასიათიდან გამომდინარე, უცხოური ინვესტიციები იყოფა: სამენარმეო და სესხის ინვესტიციად. სამენარმეო ინვესტიციები, არის პირდაპირი ან არაპირდაპირი ინვესტიციები სხვადასხვასახის ბიზნესში, რომლებიც მიზნად ისახავს მოგების გარკვეული უფლების მოპოვებას დივიდენდის სახით. სესხის ინვესტიციები უკავშირდება ნასესხებ საფუძველზე თანხების უზრუნველყოფას, პროცენტის მოპოვების მიზნით. უცხოური ინვესტიციების ანალიზისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირდაპირი, პორტფელის და სხვა ინვესტიციების გამოყოფას. ამ კონტექსტში ხდება, რომ უცხოური ინვესტიციების მოძრაობა აისახება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის შესაბამისად, ქვეყნის გადახდის ბალანსში უცხოური პირდაპირი ინვესტიცია მოქმედებს, როგორც უცხოელი ინვესტორების ინვესტიცია, ამიტომ მათ აძლევს კონტროლირების უფლებას კომპანიაში საკუთრების წილიდან გამომდინარე, რომ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საწარმოს მართვაში სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

უცხოური კაპიტალის მოზიდვის ღრმა ეკონომიკური მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მასთან ერთად, ეროვნული ტექნოლოგია დანერგილია წარმოებასა და ბიზნესში. ხოლო ახალი ფორმები და ტექნოლოგიები ფუნდამენტურად მნიშვნელოვან და განსახვავებულ ეკონომიკურ ეფექტს წარმოქმნიან შიდა მენარმეობის შესაძლებლობებთან შედარებით. ეს არის მთავარი ფაქტი, რომელიც ემსახურება უცხოური კაპიტალის მასობრივ შემოდინებას და ეროვნული საზღვრების გახსნას.

საქართველოს კანონის „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ მე-3 მუხლის თანახმად კი, ინვესტიცია არის სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა დარგის საწარმოში, საწარმო-საინვესტიციო პროგრამებსა და პროექტებში კაპიტალის დაბანდება, რომლის

ძირითადი მიზანია ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით ამოქმედება და წარმოების განვითარების ხელშეწყობით უმუშევრობის დონის შემცირება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციების განმარტებით ინვესტიცია გამოხატავს გრძელვადიან ურთიერთობას ერთი ქვეყნის რეზიდენტი კომპანიის მიერ მეორე ქვეყნის რეზიდენტი კომპანიის მიმართ. რეალურადმსგავსი გარემოების დროს ინვესტორი იღებს უფლებას დიდი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე. ეკონომიკაში ინვესტიციები სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება, ესენია ეკონომიკური ინვესტიცია, ინვესტიცია ფასიან ქალაქებშიდასამომხამრებლოინვესტიცია².

სამომხმარებლო ინვესტიცია - ეს ისეთი სახის ინვესტიციაა, როდესაც რეალურად არ არსებობს დაბანდებიდან შემოსავალი პირიქით ნიშნავს უძრავი ქონების შეძენას. სამომხმარებლო ინვესტიციის დროს შესაბამისად არც კაპიტალი იზრდება.

ეკონომიკური ინვესტიცია - ეს ისეთი ინვესტიციაა, რომელიც არ საჭიროებს რაიმე სანარმოების შექმნას მოგების მიზნით. საფინანსო იგივე ეკონომიკური ინვესტიცია ნიშნავს კაპიტალის დაბანდებას მოგების მიზნით ფასიან ქალაქებში.

ინვესტიცია ბიზნესში - ეს ისეთი ინვესტიციაა, რომლის განხორციელების დროს ხდება სანარმოს საბრუნავი მასალის შექმნა მოგების მიღების მიზნით. ეს შეიძლება იყოს მუშახელი სანარმოო საშუალებები და ა.შ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თავის მხრივ იყოფა შემდეგი ფორმების მიხედვით: ბრაუნფილდი და გრინფილდი. გრინფილდის ანუ პირდაპირი ინვესტიცია არის ინვესტიციის ისეთ ფორმა, რომლის დროსაც ინვესტიციები მიემართება ქვეყნის გარეთ არსებული კომპანიის გასახსნელად. მსგავსი სახის ინვესტიციით დაინტერესებული არიან განვითარებადი ქვეყნები სადაც ხდება სამუშაო ადგილების გაჩენა და ხშირ შემთხვევაში კონკურენციის პირობებში ადგილობრივ ბაზარზე დაბალი ფასებით სტიმულირება. ბრაუნფილდი ეს ინვესტიციების ისეთი სახეა, როცა ხდება უცხო კომპანიის

²საქართველოს საკანონმდებლო მაცნე - საქართველოს კანონი „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“;

შეძენა იმ მიზნით რომ მოხდეს ახალი კომპანიის გახსნა გარკვეული საქმიანობის დასაწყებად. „შერწყმა“ და „შთანქოქმა“ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ორი გასხვავებული ფორმაა, შერწყმის დროს ხდება ორი იდეოლოგიით ერთნაირი კომპანიის შეერთება ერთი ბიზნეს სუბიექტის გასახსნელად და საწარმოო საქმიანობის დასაწყებად. შთანქოქმა ეს ისეთი სახის ინვესტიციაა, რომლის დროსაც ხდება ერთი დიდი კომპანიის მიერ შედარებით მცირე კომპანიის შთანქოქმა. როგორც უკვე განვიხილეთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის ფუნქციონირების ბერკეტია გლობალურ ეკონომიკაში. გლობალურ ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკისათვის სასიცოცხლო ციკლს წარმოადგენს. ამიტომ ყველა განვითარებადი ქვეყანა ცდილობს დიდ დათმობებზე წავიდნენ ინვესტიციების მოსაზიდვისთვის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იყოფა ორ ნაწილად: 1) ვერტიკალურ ინვესტიციებად და 2) ჰორიზონტალურ ინვესტიციებად. ჰორიზონტალური უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ეს ისეთი ინვესტიციებია, რომელიც მიემართება იმ დარგში, რომელშიც კომპანია მოქმედებს სხვადასხვა ქვეყნებში. ჰორიზონტალური ინვესტიციები კომპანიისთვის ორი ფაქტორიდან გამომდინარე არის მომგებიანი მაგ: 1) ინვესტიციების დროს კომპანიის დანახარჯების მინიმიზაციით ახდენს მასშტაბის ეკონომიას და ამავდროულად ზღუდავს სატრანსპორტო დანახარჯებს. ვერტიკალური ინვესტიცია ეს ისეთი უცხოური პირდაპირი ინვესტიციაა, რომლის დროსაც ინვესტორები წარმოების პროცესს რამოდენიმე ნაწილად ყოფენ, განათავსებენ ფილიალებს სხვადასხვა ქვეყნებში, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების შიდა პროცესს.

ვერტიკალური უცხოური ინვესტიციები თავის მხრივ ორ ნაწილად იყოფა: 1) რეგრესული - ეს ისეთი სახის ინვესტიციაა, რომლის დროსაც ქვეყნის გარეთ არსებული საწარმო ნედლეულს და პროდუქციის შექმნისთვის საჭირო მასალებს აწვდის სათაო ფილიალს. 2) პროგრესული - ეს ისეთი სახის ინვესტიციაა, რომლის დროსაც სათაო ფილიალი ამარაგებს ნედლეულითა და სხვადასხვა მასალებით ქვეყნის გარეთ არსებულ ფილიალებს.

ინვესტიციები კლასიფიცირდება შემდეგი სახის ინვესტიციებად: რეალური ინვესტიციები (ინვესტიციების რეალური ღირებულება) არის საინვესტიციო საქონლის

ღირებულება (ფასი-ღირებულება) მოცულობა საბაზო პერიოდის საბაზრო ფასებში, რაც ასახავს მათ ფიზიკურ (რეალურ) მოცულობაში ცვლილებებს. ინვესტიციების სახის ფასეულობისგან განსხვავებით, რეალური ინვესტიციების მაჩვენებელი არ შეიცავს ე.წ. "ინფლაციური" კომპონენტს და გარკვეულწილად "განმნდილია" ფასის ფაქტორზე ზეგავლენისაგან. რეალური ინვესტიციების ღირებულება განისაზღვრება ინვესტიციების ფიზიკური მოცულობისა და საბაზო პერიოდის ბაზრის (სავარაუდო) ფასების შეჯამებით. მოქმედების მიმართულებიდან გამომდინარე, განასხვავებენ რეალური ინვესტიციების შემდეგ სახეობებს: - საწყისი ინვესტიციები (წმინდა ინვესტიციები), რომლებიც განხორციელებულია საწარმოს შექმნის ან შექმნისთანავე; - ფართო ინვესტიციები, რომლებიც მიზნად ისახავს პროდუქციული შესაძლებლობების გაფართოებას; ინვესტიცია, რომელიც გაგებულია, როგორც გათავისუფლებული საინვესტიციო ფონდების ინვესტიცია ახალი წარმოების საშუალებების შექმნაში ან წარმოებაში; მთლიანი ინვესტიციები, მათ შორის წმინდა ინვესტიციები და ინვესტიციები. რეპროდუქციული აქცენტის მიხედვით, გამოირჩევა მთლიანი, განახლებული და წმინდა ინვესტიციები. მთლიანი ინვესტიციები ახასიათებს კაპიტალის მთლიან ოდენობას, რომელიც ინვესტირებულია გარკვეული პერიოდის განმავლობაში ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების რეპროდუქციაში. ეკონომიკურ თეორიაში, მთლიანი ინვესტიციის კონცეფცია, როგორც წესი, ასოცირდება ეკონომიკის რეალურ სექტორში კაპიტალურ ინვესტიციებთან. საწარმოს დონეზე, ამ ტერმინს ხშირად ესმით, როგორც ინვესტირებული კაპიტალის ჯამური ოდენობა მოცემულ პერიოდში.

- სარეკონსტრუქციო ინვესტიციებს ახასიათებს კაპიტალის რაოდენობას, რომლებიც ინვესტირებულია ძირითადი აქტივების და ამორტიზირებული არამატერიალური აქტივების უბრალო რეპროდუქციაში. რაოდენობრივი თვალსაზრისით, სარემონტო ინვესტიციები, როგორც წესი, ტოლია ამორტიზაციის ოდენობას გარკვეულ პერიოდში. - წმინდა ინვესტიციას ახასიათებს კაპიტალის რაოდენობას, რომელიც ინვესტირებულია ძირითადი აქტივების და არამატერიალური აქტივების გაფართოებულ რეპროდუქციაში. ეკონომიკურ თეორიაში ეს ტერმინი ეხება წმინდა კაპიტალის ფორმირებას ეკონომიკის რეალურ სექტორში. რაოდენობრივი თვალსაზრისით, წმინდა ინვესტიცია არის მთლიანი

ინვესტიციის ოდენობა, რომელიც შემცირებულია ამორტიზაციის გამოქვითვების ოდენობით საწარმოს ყველა ტიპის ამორტიზირებული კაპიტალის აქტივების გარკვეულ პერიოდში. მთლიანი და წმინდა ინვესტიცია არის საინვესტიციო საქონლის წარმოების ღირებულება, რომელიც შეცვლის ნახმარი მანქანების, აღჭურვილობის, სტრუქტურების, ისევე როგორც სხვა წმინდა ინვესტიციების წარმოებას, რომელიც მიმართულია საწარმოო აქტივების გაზრდისკენ. მთლიანი და წმინდა ინვესტიციები მოიცავს მიმდინარე წელს მოხმარებული წარმოების აქტივების შეცვლისა და ინვესტიციების ზრდის ხარჯების სრულ რაოდენობას. ასე რომ, თუ ქვეყნის ეკონომიკაში წელიწადში 900 მილიარდი ინვესტიციის საქონელი (ან წარმოების საშუალებები) ინარჩუნებოდა, მაგრამ არსებული ჩარხები, მანქანები, აღჭურვილობა და სტრუქტურები 600 მილიარდი დოლარით იყო მოხმარებული, მაშინ 300 მილიარდი დოლარი დაემატა ეკონომიკას, დაგროვილი სახსრების ღირებულებასა და წარმოებას. ასე რომ, მთლიანი ინვესტიციები შეადგენს 900 მილიარდ დოლარს, ხოლო წმინდა ინვესტიციებს - 300 მილიარდ დოლარს. ამ ინდიკატორებს შორის განსხვავებააარის მიმდინარე წელს მოხმარებული წარმოებული საშუალებების ღირებულება და რომელიც მიზნად ისახავს წარმოების პროცესში მთლიანი მოცულობის აღდგენას.

კაპიტალის ინვესტიციის ობიექტები იზიარებს საწარმოს რეალურ და ფინანსურ ინვესტიციებს. რეალური (ან კაპიტალის შემქმნელი) ინვესტიციები ახასიათებს კაპიტალის ინვესტიციებს ძირითადი საშუალებების რეპროდუქციის, ინოვაციური არამატერიალური აქტივების (ინოვაციური ინვესტიციების), ინვენტარის ზრდასა და საწარმოს ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ინვესტიციის ობიექტების ან პერსონალის სამუშაო და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან. ფინანსური ინვესტიციები ახასიათებს კაპიტალურ ინვესტიციებს სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტიციისთვის, ძირითადად ფასიან ქაღალდებში, შემოსავლის წარმოქმნის მიზნით. ინვესტიციულ საწარმოსთან დაკავშირებით გამოიყოფა გარე და შიდა ინვესტიციები. შიდა ინვესტიცია ახასიათებს ინვესტიციას თავად ინვესტიციური საწარმოს მოქმედ აქტივების განვითარებაში. უცხოური ინვესტიცია არის სხვა საწარმოთა უძრავი ქონების ინვესტიცია ან სხვა ბიზნესის სუბიექტების მიერ გაცემული ფინანსური ინვესტიციის ინსტრუმენტები.

ინდუსტრიის ორიენტაციის მიხედვით, ინვესტიციები იყოფა ინდივიდუალურ ინდუსტრიადად და საქმიანობის სფეროებად, მათი კლასიფიკატორის მიხედვით.

ინვესტიციების კლასიფიკაციის ეს ფორმა დაკავშირებულია ინვესტიციის პროცესის სახელმწიფო რეგულირებას ეროვნული მასშტაბით, აგრეთვე ინდივიდუალური ინდუსტრიების (საქმიანობის სფეროების) ინვესტიციის მიმზიდველობის შეფასებას საწარმოს რეალური და ფინანსური ინვესტიციების პროცესში. განხორციელების პერიოდის მიხედვით, საწარმოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ინვესტიციები გამოირჩევა. მოკლევადიანი ინვესტიციები ახასიათებს კაპიტალურ ინვესტიციებს ერთ წლამდე პერიოდის განმავლობაში. საწარმოს მოკლევადიანი ინვესტიციების საფუძველია მისი მოკლევადიანი ფინანსური ინვესტიციები. გრძელვადიანი ინვესტიციები ახასიათებს კაპიტალურ ინვესტიციებს ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. დაბანდების მიმართულების მხრივ განასხვავებენ ინვესტიციებს: 1. ფიზიკურ კაპიტალში, კერძოდ, მოწყობილობების, შენობების, მანქანებისა და ინფრასტრუქტურის სახით; 2. ფიქტიურ კაპიტალში, რომელიც გამოხატულია ფასიან ქაღალდებსა და არამატერიალურ აქტივებში ლიცენზიები, პატენტები, სავაჭრო მარკა და ა.შ.); 3. ადამიანურ კაპიტალში (საწარმოს თანამშრომელთა მომზადება, პერსონალის განვითარება, თანამშრომელთა ცხოვრების ხარისხის ამაღლება); 4. ტექნოლოგიური კაპიტალი, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ საკონსტრუქტორო დაფინანსების ფორმით³.

- დაბანდება ფიზიკურ კაპიტალში - ეს ისეთი სახის დაბანდება არის, როდესაც ინვესტიცია ხორციელდება მანქანა დანადგარებში, შენობების საყიდლად, ინფრასტრუქტურის შესაცვლელად, რაც კომპანიას გაუმარტივებს სამუშაო მიმდინარეობას მეტი ამონაგების მისაღებად. დაბანდება ფიქტიურ კაპიტალში - ეს ისეთი სახის დაბანდებაა, როდესაც ინვესტიცია ხორციელდება არამატერიალურ აქტივებში ეს შეიძლება იყოს პატენტის შეძენა, ლიცენზიის შეძენა და ა.შ. - დაბანდება ადამიანურ კაპიტალში - ეს ისეთ სახის დაბანდებაა, როდესაც ინვესტიცია ხორციელდება თანამშრომლების გადამზადებისთვის, პერსონალის განვითარებისთვის

³ოქროცვარიძე ავთანდილ, ლაჭყვიანი თენგიზ, ოქროცვარიძე ლალი, „მსოფლიო ეკონომიკა“, საქართველოს სახელმწიფო აგარული უნივერსიტეტი, თბილისი; ...2010; 2.1.

და ა.შ. - დაბანდება ტექნოლოგიურ კაპიტალში - ეს ისეთ სახის დაბანდებაარის, როდესაც ინვესტიცია ხორციელდება ინოვაციების ან ტექნიკის განვითარებისთვის კომპანიის ეფექტიანად მუშაობისთვის. თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში ქვეყნები, რომელთა ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი საშუალო ნიშნულსაც ვერ აღწევს ცდილობენ მოიზიდონ ინვესტიციები და ამისთვის უფრო რბილი ეკონომიკური პოლიტიკა განახორციელონ. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან შედარებით ნაკლებად განვითარებული ქვეყნები ლიბერალიზირებული პოლიტიკასახორციელებენ, რაც ასოცირდება მომავალში განვითარებულ ეკონომიკასა და შემცირებულ სიღარიბის მაჩვენებელთან. დროთა განმავლობაში ბევრმა ქვეყანამ წარმატებით გაართვა თავი ლიბერალურ ეკონომიკას და დიდი რაოდენობით უცხოური ინვესტიცია მოიზიდა, მაგრამ ბევრმა ქვეყანამ დიდი შედეგი მაინც ვერ მიიღო არაეფექტურად გატარებულ ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე.

ქვეყნები, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობა მდგრადობით ვერ გამოირჩევა იძულებული არიან, მოიზიდონ შერბილებული პოლიტიკით უცხოური ინვესტიციები, რადგან კარჩაკეტილი პირობებით ვერ აღწევენ ტექნიკურ და ინდუსტრიულ განვითარებას. არსებობს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის ორი ხერხი: პასიური და აქტიური გზა. პასიური პოლიტიკის გატარების ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკაა, მოიზიდონ ინვესტიციები მიუხედავად მათი გეოგრაფიული მდებარეობის, მინიმალური შრომის დანახარჯებისა და შერბილებული საკანონმდებლო ბაზისა. აქტიური პოლიტიკის გატარების დროს ქვეყნები ინვესტიციის მიღების დროს ეფუძნებიან გამჭირვალე ეკონომიკურ პროცესებს, სტაბილურ ეკონომიკურ გარემოს, სტრატეგიული მიზნებისთვის ასრულებენ უცხოელი ინვესტორების დაცვას. ინვესტიციის მოზიდვისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია მიმღები ქვეყნის შემუშავებული სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს შესთავაზოს სხვადასხვა საინვესტიციო შესაძლებლობები პოტენციურ უცხოელ ინვესტორებს. მდგრადი პოლიტიკის შედეგისთვის აუცილებელია გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგიის ჩამოყალიბება, რადგან მასპინძელი ქვეყანა გახდეს მიმზიდველი ინვესტიციების მოსაზიდად. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის სირბილე საკმარისი არაა, რადგან

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დროს მასპინძელი ქვეყანა სინქრონულად უნდა ატარებდეს ისეთ პოლიტიკას, როგორცაა: კორუფციის დაბალი მაჩვენებელი, გამჭვირვალე პოლიტიკური გარემო და ა.შ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისათვის, რადგან ინვესტიციების შემოსვლისას რამოდენიმე დადებითი ფაქტორი აისახება ქვეყნის ეკონომიკაში მაგ: როცა უცხოური კომპანია შემოდის მასპინძელ ქვეყანაში ინვესტიციით, ამ დროს კომპანია ხშირ შემთხვევაში იძულებულია მოახდინოს კადრების გადამზადება, რაშიც დიდ თანხებს ხარჯავს, ვიდრე ადგილობრივი კომპანიები. ინვესტიციების შემოდინებას სხვა ეკონომიკური გვერდითი ეფექტებიც გააჩნია მაგ: კონკურენტუნარიანობა ადგილობრივ ბაზარზე; როცა შემოდის უცხოური კომპანია შემოაქვს ახალი ტექნოლოგიები, რის საშუალებითაც ხშირად ხდება ფასთა ცვლილება პროდუქციაზე ადგილობრივ ბაზარზე. ეს ინვესტორებისთვის კარგია, მაგრამ აქვს უარყოფითი მხარეც, თუ ფასთა სხვაობა იმ რაოდენობისაა, რომ ადგილობრივი ბაზრები კონკურენციას ვერ უძლებს ესეთ დროს კომპანიები ხშირად კოტრდებიან. აქედან გამომდინარე ჩნდება თავისუფალი სივრცეები და კვდება ჯანსაღი კონკურენცია. თავისუფალ სივრცეში შესაბამისად ჩნდება უცხოური ინვესტიცია, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ცუდია იმ მხრივ, რომ ფასთა კონკურენცია კვდება. უცხოურ ინვესტიციებს აგრეთვე გააჩნია ვერტიკალური გვერდითი ეფექტი, რაც ითვალისწინებს შუალედური საქონლის შემოდინებას. შუალედური საქონლის შემოდინება კი ხელს უწყობს ქვეყნის წარმოების ზრდას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ასევე დიდია გარე ეფექტებით ეკონომიკის ზრდაში, მაგალითად როცა კომპანიამ ადგილობრივ ბაზარზე ამოწურა თავისი საქმიანობა ისინი ცდილობენ ტექნიკისა და მენეჯმენტის გაცვლით, გარე ეფექტებით მასპინძელ ქვეყანაში მწარმოებლურობის გაზრდას.

1.2. სახელმწიფოს როლი ინვესტიციების და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ურთიერთკავშირს შორის

თანამედროვე მსოფლიოში აღინიშნება უცხოური დაბანდების განხორციელების ფორმათა და მეთოდების დიდი დივერსიფიკაცია, მაგრამ მათი დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით მიღებულია უცხოური ინვესტიციების შემდეგი კლასიფიკაცია: ინვესტიციების ობიექტის მიხედვით განასხვავებენ ფინანსურ და რეალურ ინვესტიციებს.

რეალური ინვესტიციების ქვეშ იგულისხმება დაბანდებები უშუალოდ წარმოებაში, ანუ ძირითად კაპიტალში და საბრუნავ საშუალებებში. ფინანსურ ინვესტიციებს მიეკუთვნება დაბანდებები ფასიან ქაღალდებში, მიზნობრივი ფულადი ანგარიშები, კრედიტები და ა.შ. როგორც უკვე ვისაუბრეთ ინვესტიციების კლასიფიკაციის მრავალი მეთოდი არსებობს, მაგრამ ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე დიფერენცირებას მოვახდენთ ინვესტიციების წარმოშობის ადგილის მიხედვით.

უცხოური ინვესტიცია არის ნებისმიერი მატერიალური თუ ინტელექტუალური ფასეულობა, რომლის დაბანდება უცხოელი ინვესტორის მიერ ხდება სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობის ობიექტებში სამეწარმეო შემოსავლის (მოგების), სარგებლის ან სხვა ეფექტის მიღების მიზნით.

ნებისმიერ შემთხვევაში პირდაპირი ინვესტირების დროს ინვესტორი ფლობს მმართველობის კონტროლს იმ საწარმოებში, სადაც დაბანდებულია მისი კაპიტალი.

საპორტფელო ინვესტიციები კი ასეთ კონტროლს არ უზრუნველყოფენ და ჩვეულებრივ ფასიანი ქაღალდების შესყიდვის გზით ხორციელდება, რაც აძლევთ ინვესტორებს მხოლოდ საკუთრებიდან შემოსავლის მიღების უფლებას. საპორტფელო ინვესტიციების განხორციელებისას კომპანიის აქციათა შესყიდვის მაქსიმალურ ოდენობად, ამერიკული პრაქტიკიდან გამომდინარე, მიღებულია 10%. იმ შემთხვევაში თუ უცხოელი ინვესტორი ფლობს აქციათა 10%-ზე მეტს, იგი პირდაპირ ინვესტორად ითვლება. დანარჩენი უცხოური ინვესტიციების ქვეშ იგულისხმება ნაღდი უცხოური ვალუტა, მიმდინარე ანგარიშები, გრძელვადიანი და მოკლევადიანი დეპოზიტები, სავაჭრო, საინვესტიციო და სხვა კრედიტები და ავანსები და ა.შ. ასეთი ინვესტიციები პირდაპირ არ არიან დაკავშირებულები რაიმე მატერიალურ ფონდებზე საკუთრების უფლებასთან. ფართო გაგებით ნებისმიერი კრედიტი წარმოადგენს ინვესტიციას, რაც გულისხმობს კაპიტალის დაბანდებას სარგებელის სახით შემოსავლის მიღების მიზნით.

ამასთან შემოსავლის მიღება ხშირად არ წარმოადგენს კრედიტორის მთავარ მიზანს. ასე, მაგალითად საერთაშორისო ორგანიზაციათა კრედიტები ახორციელებენ განვითარების მხარდაჭერის ხასიათს და მიმართულია კერძო ინვესტორებისათვის სასურველი პირობების შესაქმნელად; უცხოური მთავრობების კრედიტები მიზნად ისახავენ თავისი ქვეყნის კერძო ინვესტორთა წახალისებას, კრედიტორი ქვეყნის ექსპორტის ზრდას, ხოლო ხშირად წმინდა პოლიტიკურ ხასიათს ატარებენ⁴.

აქედან გამომდინარე, ვიწრო გაგებით რეალურ ინვესტიციებს მიეკუთვნება მხოლოდ ის კრედიტები, რომლებიც სანარმოო მიზნებზე მოიხმარება. თავისი ფორმის მიხედვით ეს შეიძლება იყოს როგორც საფირმო, ისე საბანკო კრედიტი, აგრეთვე საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციისა და უცხოური მთავრობის კრედიტი ან ობლიგაციური სესხი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მოცემული განსაზღვრების მიხედვით პირდაპირი ინვესტიციების თავისებურებას, კაპიტალის გამოყენების სფეროს მიუხედავად, წარმოადგენს სწორედ ის, რომ უცხოელ ინვესტორს გააჩნია მმართველობითი კონტროლი, მაშინ როდესაც საპორტფელო ინვესტიციები ასეთ კონტროლს არ უზრუნველყოფენ. განვითარების საწყის ეტაპზე განვითარებადი ქვეყანა იძულებულია კაპიტალის იმპორტი მოახდინოს მხოლოდ უცხოურ მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებისა და კრედიტების სახით. დახმარების ქვეშ იგულისხმება აგრეთვე ის უცხოური კრედიტები, რომელთა საპროცენტო განაკვეთი ეროვნული სახელმწიფო ბანკის სადისკონტო განაკვეთზე დაბალია, ანუ მათი აბსოლუტური უმრავლესობა. მოთხოვნილება უცხოურ კაპიტალზე განისაზღვრება როგორც სხვაობა აუცილებელ ინვესტიციებსა და არსებულ დანაზოგთა თანხებს შორის, ხოლო უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნილება იზომება როგორც სხვაობა აუცილებელ იმპორტსა და ფაქტობრივ ექსპორტს შორის.

აუცილებელია, პირველ რიგში, ანალიზი გამოვიტანოთ საქართველოში ღრმა ინვესტიციური კრიზისის მიზეზებისა და გამოვლინების ფორმებისა. აღნიშნული მიზეზებიდან, მთავარია შემდეგი: 1) კაპიტალური დაბანდების და დაგროვების მკვეთრი

⁴ Stobaugh R., How to Analyze Foreign Investment Climates. Harvard Business Review, September-october 1969, pp.32-48

შემცირება. საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა მთლიან შიდა პროდუქტში ინვესტიციების ხვედრითი წონა 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან (1995წ. - 23,1%; 1997წ. - 14,0%; 1999წ. - 12,6%; 2003წ. - 11,0%) და მსოფლიო მაჩვენებელზე - 24,7%-ზე ნაკლები აღმოჩნდა. 90-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში არსებულ ვითარებას ობიექტურად შეიძლება ვუწოდოთ ინვესტიციური კატასტროფა, რომლიდანაც ეკონომიკა იწყებს თავის დაღწევას. საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე ნეგატიურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მოვლენებმა განსაკუთრებით მძიმე გავლენა მოახდინა ინვესტიციების მთლიან მოცულობასა და ეკონომიკის ისეთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარებაზე, როგორც მშენებლობა. კრიზისული მდგომარეობის გავლენით მნიშვნელოვნად გაუარესდა ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოების პროცესთან და არსებული საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების დონესთან დაკავშირების კავშირის მაჩვენებლები. მთელ რიგ დარგებში ეკონომიკა არათუ ვერ უზრუნველყოფდა ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოებას, არამედ საწარმოო სიმძლავრეების შემცირების წანამძღვარებსაც კი ქმნიდა ინვესტიციების უკმარისობის გამო. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს რეალური ეკონომიკის განვითარებაზე. ადგილი აქვს ძირითადი კაპიტალის ფიზიკურ და მორალურ ცვეთას, ეცემა წარმოების ტექნიკური დონე, რაც ართულებს მის სტრუქტურულ გარდაქმნას, კონკურენტუნარიანი პროდუქციის ათვისებასა და გამოშვებას.

2) რეფორმების არასაკმარისი (არაეფექტური) შედეგები ინვესტიციურ სფეროში. საბაზრო ურთიერთობებზე გადაწყობამ ინვესტიციური საქმიანობა მკვეთრად გააუარესა. ამის მთავარი მიზეზია რეფორმის სტრატეგიის არასრულყოფილება. მასში გათვალისწინებული არ იყო საბაზრო გარდაქმნების რეალური შედეგები ინვესტიციურ კომპლექსში და კონკრეტული ტრანსფორმაციული ღონისძიებების არაადეკვატურობა ეკონომიკური ზრდის მოთხოვნების მიმართ.

3) საოჯახო მეურნეობებისა და საწარმოთა ფინანსების გაუარესება. ეროვნულ მეურნეობაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ენიჭება საოჯახო მეურნეობებისა და საწარმოების ფინანსებს. საოჯახო მეურნეობები დამოუკიდებლად განკარგავენ ფულად შემოსავალს, მათ გამოყენებასა და დაზოგვას, ღებულობენ გადაწყვეტილებებს, მათი

საბანკო ანგარიშებზე შენახვის ან ბიზნესში დაბანდების შესახებ. ამიტომ, ეს შემოსავლები ინვესტიციების დაფინანსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. ასევე მნიშვნელოვანი წყაროა სანარმოების ფინანსები, კერძოდ, მათი მოგება. სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის შემოსავლებისა და დანაზოგების დონე რეფორმის პერიოდში მკვეთრად შემცირდა, რაც, რა თქმა უნდა, ნეგატიურად მოქმედებს ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებაზე. იგივე უნდა ითქვას სანარმოების შემოსავლებისა და მოგების შესახებ. სანარმოების დიდი უმრავლესობის ფინანსური მდგომარეობა ეკონომიკის რეფორმირების პირობებში საგრძნობლად გაუარესდა. ეს გამოვლინდა რეალური მოგების შემცირებით, წამგებიანი სანარმოების გადიდებით, მათი დავალიანებებისა და გადაუხდელობების ზრდით.

4) ინვესტიციების სახელმწიფო დაფინანსების სიმცირე. მაკროეკონომიკური არასტაბილურობისა და წარმოების საერთო დაცემის ფონზე სუსტია ქვეყნის საინვესტიციო აქტიურობა, ამასთან, ამ სფეროში შექმნილი სურათი არაერთგვაროვანია. რეფორმების პირველ ეტაპზე ინვესტიციური კომპლექსი ღრმა კრიზისში აღმოჩნდა. პრობლემები, უპირველეს ყოვლისა, გამოიწვია ინვესტიციების მოცულობის მკვეთრად დაცემამ და მათი შეუფერხებელი დაფინანსების წყაროს მთლიანობაში ინვესტიციების შემცირება ყველაზე საგრძნობლად გამოვლინდა სანარმოო დანიშნულების პროდუქციის გამოშვებაში. ასეთი შემცირება გათვალისწინებულია თვითონ რეფორმების საერთო კონცეფციით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გრძელვადიან პერიოდში ასეთი პოლიტიკა ძალზე წამგებიანია და იგი შესაძლებელია, მხოლოდ მაშინ, თუ ქვეყანა სტაბილიზაციას შედარებით ხანმოკლე პერიოდში აღწევს. საქართველოს შემთხვევაში, მდგრადი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა ძალიან გახანგრძლივდა და ასეთ პირობებში ინვესტიციების სახელმწიფო დაფინანსების შემცირება ეკონომიკის პარალიზების ფაქტორად გვევლინება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინვესტიციების დაფინანსების მკვეთრი შემცირება გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით: საკუთრების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის მაღალი ტემპით; ანტიინფლაციური პოლიტიკით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების აუცილებლობით; სახელმწიფო ინვესტიციური პროგრამების შემცირებით. ეს იმას ნიშნავს, რომ

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების ამოცანას ინვესტიციური საქმიანობის ზრდა და კეთილდღეობა ეწირება, რაც მიუღებელია.

5) პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების სიმცირე. განხილული იყო, რომ საწარმოების, განსაკუთრებით, მსხვილი საწარმოების გაყიდვიდან მიღებული რესურსების ინვესტიციების სახით გამოყენება, დააჩქარებდა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. მეორეს მხრივ, თვითონ პრივატიზებული საწარმოები შეძლებდნენ უფრო ეფექტიან, მომგებიან ფუნქციონირებასა და ინვესტიციების დაფინანსებისათვის დამატებითი სახსრების მოზიდვას, მაგრამ სინამდვილეში ეს იმედები არ გამართლდა. პრივატიზებული საწარმოები, ისევე როგორც სახელმწიფო საწარმოები, განიცდიან ფინანსური რესურსების უკმარისობას და ამცირებენ ინვესტიციურ ხარჯებს. უფრო მეტიც, პრივატიზებული საწარმოების ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი გადავიდა ჩრდილოვან ეკონომიკაში ან საერთოდ, ქვეყნიდან არალეგალურად გაიტანეს. ამასთან, საერთოდ არ გამართლდა უცხოური ინვესტიციების მასშტაბურად შემოსვლის იმედებიც, უპირატესად, ქვეყნის ინსტიტუციური მოუნყობლობის გამო. ამიტომაც ნაკლებად იზიდავს უცხოელ ინვესტორებს. კრიზისული მდგომარეობის ზეგავლენით მკვეთრად გაუარესდა ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოების პროცესთან დაარსებული საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების დონესთან დაგროვების კავშირის მაჩვენებლები. მთელ რიგ დარგებში ეკონომიკა არათუ ვერ უზრუნველყოფდა ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოებას, არამედ საწარმოო სიმძლავრეების შემცირების წინაპირობებსაც კი ქმნიდა ინვესტიციების უკმარისობის გამო. ყოველივე ეს ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს რეალური ეკონომიკის განვითარებაზე. ადგილი აქვს ძირითადი კაპიტალის ფიზიკურ და მორალურ ცვეთას, ეცემა წარმოების ტექნიკური დონე, რაც ართულებს მის სტრუქტურულ გარდაქმნას, კონკურენტუნარიანი პროდუქციის ათვისებასა და გამოშვებას. რაც შეეხება ინვესტიციურ გარემოს თანამედროვე პირობებში საქართველოში სხვადასხვა მიზეზის გამო ერთმნიშვნელოვნად რთული შესაფასებელია. როგორც წესი, უცხოელი ინვესტორები პოზიტიურად აფასებენ ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებას, საერთოდ ბუნებრივი რესურსების მოპოვებასა და დამუშავებაში მზად არიან დააბანდონ მნიშვნელოვანი თანხები. შრომითი რესურსების მიმართაც სიტუაცია იოლი არ არის.


მიუხედავად იმისა, რომ დემოგრაფიული მონაცემებით, საქართველოს შრომით ბაზარზე საკმაოდ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალაა, მისი ღირებულება მნიშვნელოვნად დაბალია. ეს გარემოება ქმნის ხელსაყრელ შესაძლებლობებს უცხოელი ინვესტორისათვის. მეორეს მხრივ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოციალურ პირობებში ჩამოყალიბებული შრომის ორგანიზაციის შედეგად მუშაკები მიჩვეულები არიან მკაცრ ფორმალურ კონტროლს, ზუსტ რეგლამენტაციას, დაბალ ინიციატივას და სხვა. ამ თვისებებით კი ისინი ნაკლებად იზიდავენ უცხოელ ინვესტორს. ინვესტორისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მიმღები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხასიათს, რომელშიც აისახება განვითარებისა და ზრდის ტემპები, ინფლაციის დონე, შიგა სახელმწიფო ვალის სიდიდე და სხვა. წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2020 წლის I კვარტალში 165.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის I კვარტალის წინასწარ მონაცემებზე 118.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლებია. შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია ეპიდვითარების (კოვიდ-19) გამწვავება მთელს მსოფლიოში. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2013-2020 წლებში კვარტლების მიხედვით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები:

	მილიონი აშშ დოლარი							
წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019*	2020*
სულ	1 039.2	1 837.0	1 729.1	1 650.3	1 962.6	1 265.2	1 267.7	165.4
I კვ	291.8	331.9	343.4	392.2	411.7	323.5	283.6	165.4
II კვ	224.1	217.6	493.2	452.1	394.0	403.6	209.8	
III კვ	271.6	749.5	531.1	506.5	627.9	367.0	427.4	
IV კვ	251.6	538.0	361.3	299.5	529.0	171.0	347.0	


პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით:

უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები 2020 წლის I კვარტალში, წინასწარი მონაცემებით, მილიონი აშშ დოლარი



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით:

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმსხვილესი ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2020 წლის I კვარტალში, წინასწარი მონაცემებით



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ინფორმაციის წყაროების მიხედვით:

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში										
ათასი აშშ დოლარი	I კვ. 2018	II კვ. 2018	III კვ. 2018	IV კვ. 2018	2018	I კვ. 2019*	II კვ. 2019*	III კვ. 2019*	IV კვ. 2019*	2019*
სულ	323 546,2	403 649,3	367 021,2	171 019,4	1 265 236,1	283 556,0	209 795,5	427 390,5	346 982,4	1 267 724,4
მთ შორის:										
საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გამოკვლევა	219 220,9	332 378,8	269 802,6	88 528,0	909 930,3	99 385,0	201 442,1	313 167,6	264 339,6	878 334,3
პრივატიზაცია	691,6	383,2	260,7	179,0	1 514,5	131,9	1 612,1	1 578,1	236,9	3 559,1
საფინანსო სექტორი**	103 633,6	70 887,3	96 957,9	82 312,4	353 791,3	184 039,1	6 741,3	112 644,7	82 405,9	385 831,0
წინასწარი მონაცემები.										

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით:

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით														
ათასი აშშ დოლარი														
რეგიონი	II კვ. 2017	III კვ. 2017	IV კვ. 2017	2017	I კვ. 2018	II კვ. 2018	III კვ. 2018	IV კვ. 2018	2018	I კვ. 2019*	II კვ. 2019*	III კვ. 2019*	IV კვ. 2019*	2019*
სულ	393 962,4	627 927,1	529 033,1	1 962 613,5	323 546,2	403 649,3	367 021,2	171 019,4	1 265 236,1	283 556,0	209 795,5	427 390,5	346 982,4	1 267 724,4
მათ შორის:														
ქ. თბილისი	303 596,0	437 616,4	463 710,6	1 514 709,8	283 568,2	305 460,2	270 238,4	174 023,9	1 033 290,7	206 475,7	98 983,4	276 293,0	238 416,8	820 168,9
აჭარა	52 467,9	97 014,5	-413,9	209 642,1	-24 000,0	100 062,8	2 734,1	-3 245,6	75 551,3	26 231,3	34 019,4	52 453,1	94 327,3	207 031,2
კახეთი	5 983,9	2 577,7	1 106,2	12 113,9	-3 187,9	562,6	-3 881,3	-3 278,8	-9 785,3	1 021,4	1 871,7	1 865,7	1 257,8	6 016,5
სამცხე-ჯავახეთი	4 924,9	13 474,9	3 669,2	38 856,5	17 398,9	-5 606,5	18 828,5	14 174,9	44 795,7	17 180,4	15 052,4	20 334,9	10 374,9	62 942,6
ქვემო ქართლი	22 099,3	20 444,5	3 509,9	64 701,7	29 581,3	27 400,8	13 656,0	16 390,0	87 028,1	9 122,8	25 010,5	27 153,1	3 370,5	64 656,9
სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია	-7 734,7	33 362,6	25 153,9	55 912,5	5 583,9	-19 646,8	36 204,5	-32 672,4	-10 530,8	15 489,1	19 952,4	33 631,5	7 987,4	77 060,3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-7 935,0	32 794,9	24 861,1	54 828,0	5 479,0	-19 531,7	36 004,7	-32 780,8	-10 828,9	15 382,7	19 759,0	31 611,6	7 684,8	74 438,1
გურია	200,3	567,8	292,8	1 084,5	104,9	-115,0	199,8	108,4	298,1	106,3	193,3	2 019,9	302,6	2 622,1
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	10 170,4	18 600,2	38 416,9	59 852,7	11 422,0	-7 922,4	16 913,7	6 349,9	26 763,1	1 762,8	5 433,1	5 231,1	5 658,5	18 085,4
იმერეთი	9 972,8	17 298,4	37 503,2	57 358,6	11 239,8	-8 208,3	16 776,7	6 461,4	26 269,6	1 821,4	5 199,4	2 182,6	5 618,4	14 821,8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	197,5	1 301,8	913,7	2 494,1	182,1	285,9	136,9	-111,5	493,5	-58,6	233,6	3 048,5	40,0	3 263,6
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	2 454,7	4 836,4	-6 119,8	6 824,4	3 179,7	3 338,6	12 327,3	-722,4	18 123,0	6 272,5	9 472,7	10 428,2	-14 410,8	11 762,6
შიდა ქართლი	2 216,3	2 185,7	-4 921,9	1 087,8	-2 949,8	5 003,6	9 574,2	3 612,0	15 240,0	5 552,0	6 717,1	5 243,1	-17 071,5	440,6
მცხეთა-მთიანეთი	238,4	2 650,7	-1 198,0	5 736,6	6 129,5	-1 665,0	2 753,1	-4 334,4	2 883,3	720,5	2 755,6	5 185,1	2 660,8	11 322,0

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში კომპონენტების მიხედვით:

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში კომპონენტების მიხედვით											
ათასი აშშ დოლარი											
	I კვ. 2018	II კვ. 2018	III კვ. 2018	IV კვ. 2018	2018	I კვ. 2019*	II კვ. 2019*	III კვ. 2019*	IV კვ. 2019*	2019*	
სულ	323 546,2	403 649,3	367 021,2	171 019,4	1 265 236,1	283 556,0	209 795,5	427 390,5	346 982,4	1 267 724,4	
მათ შორის:											
სააქციო კაპიტალი	141 090,3	283 007,1	215 407,5	163 938,2	803 443,2	82 456,9	135 006,7	123 008,1	152 670,0	493 141,7	
რეინვესტიცია ^ა	184 610,9	103 556,5	125 024,9	24 011,2	437 203,6	106 518,6	70 953,2	262 822,8	172 249,1	612 543,7	
სავალო ვალდებულებები ^{ა,ბ}	-2 155,1	17 085,7	26 588,8	-16 930,1	24 589,4	94 580,5	3 835,6	41 559,6	22 063,3	162 039,0	

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით:

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით															
ათასი აშშ დოლარი															
ქვეყნის კოდი	ქვეყნები	II კვ. 2017	III კვ. 2017	IV კვ. 2017	2017	I კვ. 2018	II კვ. 2018	III კვ. 2018	IV კვ. 2018	2018	I კვ. 2019*	II კვ. 2019*	III კვ. 2019*	IV კვ. 2019*	2019*
სულ	სულ	393 962,4	627 927,1	529 033,1	1 962 613,5	323 546,2	403 649,3	367 021,2	171 019,4	1 265 236,1	283 556,0	209 795,5	427 390,5	346 982,4	1 267 724,4
356	ბელგია	936,0	1 531,7	607,5	4 313,5	620,3	300,5	706,7	1 796,4	3 423,9	665,1	-873,7	1 254,2	176,3	1 221,9
100	ბულგარეთი	856,6	1 680,4	571,5	4 858,7	653,9	1 739,6	2 237,5	2 795,7	7 426,7	1 641,2	1 533,4	2 309,6	1 569,1	7 053,2
191	ხორვატია	1 115,0	781,8	-2 100,0	467,2	-130,4	855,6	1 118,9	184,1	2 028,2	1,8	321,7	340,0	440,7	1 104,3
196	კვიპროსი	-3 163,1	-3 952,4	10 981,8	12 913,4	-16 237,7	1 622,0	-7 006,7	-63 943,8	-85 566,3	-9 794,7	-2 466,6	27 983,8	2 773,7	18 496,2
203	ჩეხეთი	23 494,9	27 315,0	100 918,4	129 097,3	-239,6	80 831,6	6 033,7	-11 626,4	74 999,5	-11 587,6	14 849,5	13 057,7	1 775,1	18 096,8
208	დანია	-8 672,1	8 351,3	-8 236,9	-4 457,1	12 787,5	-3 566,9	7 565,1	-1 536,9	15 248,8	10 969,6	3 962,8	14 703,7	978,1	30 614,2
233	ესტონეთი	4 243,1	1 438,5	10 976,0	18 489,1	5 796,2	5 594,0	-1 401,5	4 935,6	14 924,3	-26,3	6 537,3	3 723,2	2 235,3	12 469,6
246	ფინეთი	23,7	-391,7	-234,0	-435,8	-210,7	-172,0	359,9	76,2	53,5	199,4	-8,9	183,4	1 275,0	1 648,8
250	საფრანგეთი	2 631,4	3 948,2	1 410,7	21 267,2	4 480,1	2 524,0	14 366,7	3 553,4	24 924,1	1 841,9	2 594,2	5 344,8	8 332,4	18 113,3
276	გერმანია	1 681,4	-1 872,9	-100 320,8	-94 655,2	13 791,0	12 696,9	9 081,4	4 371,1	39 940,4	4 410,1	4 856,6	10 459,0	-11 805,5	7 920,2
300	საბერძნეთი	416,7	224,0	11,1	675,7	164,3	430,0	557,0	820,5	1 971,7	428,3	743,5	640,6	482,5	2 294,8
348	უნგრეთი	410,1	666,8	311,9	2 105,7	215,0	558,9	78,3	613,2	1 465,4	744,0	1 754,0	16,7	198,8	2 713,5
372	ირლანდია	201,4	-47,9	8,4	190,5	1 050,4	281,5	612,5	1 213,3	3 157,7	133 442,4	-462,8	-563,9	313,0	132 728,7
380	იტალია	-1 228,8	-705,2	10 687,1	8 260,9	-451,5	-1 136,7	-669,5	-1 366,9	-3 624,6	181,3	574,2	55,0	159,8	970,3
428	ლატვია	-17 959,4	-4 931,6	1 509,3	-33 854,2	325,5	613,4	2 625,0	560,5	4 124,3	709,9	-506,5	543,9	1 171,8	1 919,1
440	ლიტუვა (ლიტვა)	857,9	956,1	253,0	2 506,7	265,0	1 105,9	286,1	-1 064,8	592,2	402,2	75,5	220,1	483,6	1 181,3
442	ლუქსემბურგი	29 140,4	24 928,1	46 736,2	100 714,6	22 673,7	402,1	16 356,9	10 703,2	50 136,0	2 094,9	5 900,0	11 231,0	17 265,4	36 491,3

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები:

მლნ. აშშ დოლარი						
	წელი	სულ	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
1996		3,8
1997		242,6	38,8	48,5	97,0	58,2
1998		265,3	19,1	97,8	45,0	103,4
1999		82,2	19,4	22,3	20,0	20,6
2000		131,2	32,7	30,0	28,9	39,5
2001		109,8	20,0	30,8	29,8	29,2
2002		160,2	24,4	44,6	36,4	54,8
2003		334,6	56,3	80,4	83,4	114,4
2004		492,3	118,2	117,2	133,0	123,9
2005		452,8	88,6	104,8	79,6	179,7
2006		1 171,2	145,2	318,0	332,4	375,5
2007		1 764,7	330,8	375,3	470,6	588,0
2008		1 575,2	540,1	607,7	136,1	291,3
2009		666,8	114,5	178,3	179,1	194,9
2010		865,6	176,1	211,5	236,8	241,2
2011		1 134,0	222,6	273,1	309,1	329,2
2012		1 048,2	312,4	248,0	220,5	267,3
2013		1 039,2	291,8	224,1	271,6	251,6
2014		1 837,0	331,9	217,6	749,5	538,0
2015		1 729,1	343,4	493,2	531,1	361,3
2016		1 650,3	392,2	452,1	506,5	299,5
2017		1 962,6	411,7	394,0	627,9	529,0
2018		1 265,2	323,5	403,6	367,0	171,0
2019 [†]		1 267,7	283,6	209,8	427,4	347,0
2020 [†]		165,4	165,4			

მთავრობის საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა იყოს: შექმნას დამატებითი სტიმულები მეტი უცხოური ინვესტიციის მოსაზიდად, გაზარდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან წარმოქმნილი სარგებელი მათი დამატებული ღირებულების, ე.წ. ექსტრაფინანსური სარგებლის (მონინავე ტექნოლოგიების და ცოდნის ტრანსფერი, ინვესტირება და რეინვესტირება კვლევა-განვითარებაში, ადამიანური რესურსების განვითარებაში) წახალისებისა და ამ მიმართულებით ლიბერალური, მაგრამ პრაქტიკული სამთავრობო პოლიტიკის ხარჯზე.

შესაბამისად, მიღებულ უნდა იქნეს ზომები დიფერენცირებული საგადასახადო შეღავათების შემოღებისათვის იმ ინოვაციურ და უცხოურ ორიენტირებულ ინვესტიციებთან მიმართებაში, რომლებიც განხორციელდება ქვეყნის რეგიონებში.

ექსპორტის ხელშეწყობა და ექსპორტზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება ექსპორტზე ორიენტირებული მენარმეობის წახალისების მიზნით საჭიროა, შეიქმნას შესაბამისი კომპლექსური სახელმწიფო პროგრამა. ამასთან, ექსპორტ-იმპორტის ანალიზის საფუძველზე უნდა მოხდეს რეკომენდაციების შემუშავება იმ სასაქონლო ჩამონათვალის წარმოების შესახებ, რომლის ჩანაცვლებაც და წარმოებაც შეიძლება ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენებით ქვეყნის შიგნით და რომელიც უმოკლეს დროში მოგვცემს რეალურ ეფექტს შიდა ბაზარზე, ხოლო შემდეგ მას გახდის კონკურენტულს რეგიონულსა და საერთაშორისო ბაზარზე. აუცილებელია

მიზანმიმართული მუშაობის გაგრძელება საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით. მწვავე კონკურენციის პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანია პროდუქციის დივერსიფიკაცია და ახალი ბაზრების ათვისების სტრატეგიის შემუშავება.

რეგიონის ბრენდის ჩამოყალიბების ხელშეწყობა - რეგიონული წარმოშობის საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებელთა ნდობის მოპოვება წარმოშობის ადგილზე აქცენტირებითა და რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლებით.

რეგიონის ბრენდის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით უნდა მოხდეს ექსპორტის ბაზარზე მომხმარებელთა ინფორმირება რეგიონში წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და უნიკალური თვისებების შესახებ; შეიქმნას ან დაიხვეწოს რეგიონების ვებგვერდები რეგიონების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის განთავსების მიზნით; ასევე უნდა მოხდეს რეგიონში წარმოებული პროდუქტის სლოგანისა და ლოგოტიპის დივერსიფიცირებული ვიზუალური და ვერბალური იდენტურობის ფორმირება. სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარება სოფლის მეურნეობა ისტორიულად საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია. მიუხედავად იმისა, რომ მასზე მთლიანი შიდა პროდუქტის შედარებით მცირე ნაწილი მოდის, ამ სექტორში დასაქმებულთა წილი ქვეყანაში დასაქმებულთა მთლიანი რიცხვის მნიშვნელოვან რაოდენობას შეადგენს. ამის გამო სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა: სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების, ამოცანებისა და განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრის მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია.

მიღებულ უნდა იქნეს კანონი ფერმერების შესახებ, რომლითაც განისაზღვრება მათი სტატუსი და უფლება-მოვალეობანი. სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ენდემური და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების (მევენახეობა-მელვინეობა, მეხორბლეობა, მეჩაიეობა და ა.შ.) რეაბილიტაციის ღონისძიებების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სათანადო ფინანსური მხარდაჭერით მათ

მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ზუსტი აღრიცხვის და მიწის ბალანსის შესადგენად. საჭიროა, განხორციელდეს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მონაცემთა ბაზის შექმნა და მელიორირებული ფართობების ინვენტარიზაცია. უნდა განხორციელდეს ფერმერებისა და აგრობიზნესში დაკავებული მენარმეების დაკრედიტების სისტემის სრულყოფა, შეიქმნას ხელსაყრელი პირობები კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოსაზიდად. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად საჭიროა, შეიქმნას აგრომექანიზაციის მომსახურების სახელმწიფო ცენტრები, რომელთა კოორდინაცია უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სოფლების მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგების ხელშეწყობა, მანქანა-ტრაქტორების სადგურების შექმნა და/ან შეღავათიანი პირობებით დაკრედიტება. საჭიროა ღონისძიებების განხორციელება ბაზრის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ქსელის შექმნა. საჭიროა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამენარმეო ინიციატივების ინვესტირების წახალისება. საოჯახო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მხარდაჭერა. კონკრეტულად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებაზე ორიენტირებული და სხვა სამენარმეო ინიციატივების მხარდაჭერა, რომელიც ადგილობრივი საკადრო და სამენარმეო რესურსების გამოყენებაზე იქნება მიმართული.

საჭიროა სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანების ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება და მათთვის ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციების გაზიარება, რაც საშუალებას აძლევთ გაზარდონ მოსავალი. აუცილებელია მხარი დაუჭირონ, შესაბამისი მედიკამენტებითა და სასუქების მიწოდებით, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა კულტურების მოსაყვანად. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა შესწავლილ უნდა იქნეს ტურიზმის განვითარებისათვის ქვეყანაში არსებული პოტენციალი და რესურსები რეგიონების მიხედვით სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნის მიზნით. საჭიროა, დეტალურად

აღინიშნოს არსებული ინფრასტრუქტურის ობიექტები (შენობა-ნაგებობები), აგრეთვე ტურიზმის ცალკეული დარგების (ეკოტურიზმი, კულტურული ტურიზმი, რეკრეაციული და ა.შ.) განვითარებისათვის რეგიონებში არსებული ბუნებრივი და სხვა სახის რესურსები და ამ ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნას მონაცემთა შესაბამისი ბაზა.

თავი II გლობალიზაციის პირობებში საინვესტიციო აქტივობა საქართველოში და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

2.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი და შემათავსებელი ფაქტორები

გლობალიზაციის პროცესის ზეგავლენით, განვითარებადი ქვეყნები სულ უფრო სიღრმისეულად შედიან მსოფლიო ეკონომიკაში. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის უცხოური ინვესტიციების მკვეთრი ზრდა. გლობალური კომპანიების წარმატებაც სულ უფრო მეტად განისაზღვრება მათი საქმიანობით განვითარებად ბაზრებზე. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მარტო 1985-2002 წლებში 15 მლრდ \$-დან 162 მლრდ-მდე გაიზარდა. განვითარებადი ქვეყნებიც უფრო გახსნილები ხდებიან უცხოური ინვესტიციების მიმართ, შესაბამისად, პუი-ბის მოცულობაც იზრდება. საინვესტიციო აქტივობის ზრდას ენიჭება მნიშვნელოვანი ადგილი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, მას პოზიტიური გავლენა აქვს ეკონომიკის ზრდის ტემპზე, ხელს უწყობს დარგების განვითარებას, რესურსების გამოყენებას, რომლებიც სხვა შემთხვევაში

დარჩებოდნენ გამოუყენებელნი და აუთვისებელნი. ინვესტიციების განხორციელების პროცესს ახასიათებს მულტიპლიკატორის ეფექტი. ანუ, რომელიმე ერთ დარგში მიზანმიმართულ ინვესტირებას მოჰყვება მსგავსი დარგების განვითარებაც. ქვეყანაში საინვესტიციო აქტივობის ზრდა განპირობებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით, კერძოდ:

• ეკონომიკური გარემოთი - ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების განვითარების დონე, ექსპორტ-იმპორტის დონე, რესურსების საერთო ღირებულება და ხარისხი, მიზნობრივი ბაზრის გაფართოების და განკარგვადი შემოსავლის გაზრდის შესაძლებლობები, საგადასახადო შეღავათები, ეკონომიკაში გრძელვადიანი ცვლილებების მოლოდინი. (უცხოელ ინვესტორებს საკმარისად მიაჩნიათ ეკონომიკური ზრდა 3-დან 5 პროცენტის დიაპაზონში);

• სოციალური გარემოთი - შრომის ბაზარზე არსებული სიტუაცია, სამუშაო ძალის კვალიფიკაცია, შრომითი კანონმდებლობა⁵; • პოლიტიკური გარემოთი - პოლიტიკური მდგრადობა, უცხოური ინვესტიციებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერა. შიდა ბაზარი ყოველთვის იმყოფება პოლიტიკური მოვლენებისა და გადაწყვეტილებების გავლენის ქვეშ. აგრეთვე, საერთაშორისო კონპანიების საქმიანობის ეფექტიანობა ყოველთვის არის დამოკიდებული სტაბილურ პოლიტიკურ გარემოზე. დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია და ინვესტიციების დაზღვევის დაბალი დონე ზრდის გაურკვევლობასა უცხოელი ინვესტორებისათვის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფორმით უცხოური კაპიტალის შემოსვლა ქვეყანაში ითვლება ყველაზე უსაფრთხო და სასარგებლო ფორმად. იგი დაკავშირებულია სტაბილურობის შენარჩუნებასთან გრძელვადიან პერსპექტივაში;

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ბოლო წლების განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტიორები, ძირითადად, საშინაო ბაზრის ათვისებით იყვნენ დაინტერესებულნი (მთლიანი პუი-ს 81%), მეორე ადგილზეა ეფექტიანობის მაძიებელი ინვესტიციები (16%), ხოლო მესამეზე - რესურსების მაძიებელი ინვესტიციები (3 %). პუის მოზიდვის თვალსაზრისით, ეროვნული ეკონომიკის

⁵კუპრავა თ., „გლობალიზაცია: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები“, თბილისი; 2008 3 (12)

მომხიბლველობის ამალღების მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული იქნა შემდეგი რეფორმები: ანტიკორუფციული რეფორმა, რეფორმები სამართალდამცავ სისტემაში, სახელმწიფო სექტორში, საბაჟო რეფორმა, ბიზნესის დანყებისა და ლიცენზირების სფეროში განხორციელებული რეფორმები, საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები და ა.შ. გაფორმდა რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რამაც საერთო ჯამში პოზიტიურად იმოქმედა პუი-ის მოზიდვაზე⁶.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შემაფერხებელი ფაქტორები

საფონდო ბირჟის განუვითარებლობა

საფონდო ბირჟა მიზიდველი საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია, რომელიც მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებს განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა მოკრძალებული მასშტაბებით გამოირჩევა განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც.

საქართველოს საფონდო ბირჟის 2019 წლის მონაცემებით, საშუალო დღიურმა ბრუნვამ მხოლოდ 7 538 ლარი შეადგენა, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია, შეიძლება ითქვას, რომ - კატასტროფულიც. თვითონპრობლემაკი, თუ რატომ ვერ ვითარდება საქართველოს საფონდო ბირჟა, თავად მისი ფუნქციონირების ფორმაში იმალება. საქართველოს საფონდო ბირჟა, ეს არის ერთადერთი „ფუნქციონირებადი“ ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში. თავის დროზე ის ამერიკელი ექსპერტების დახმარებითა და USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა და ფუნქციონირება 2000 წლის მარტში დაიწყო.

ინვესტირების ხელისშემშლელი ფაქტორები საინვესტიციო გარემოზე ნეგატიურად მოქმედ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ის, თუ რა სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობაა იმ დროისთვის ქვეყანაში. სამწუხაროდ საქართველოს გააჩნია მთელი რიგი გარემოებები, რაც პრობლემებს უქმნის ქვეყანას ინვესტირების ხელისშემშლელი ფაქტორების სახით. დღეის მდგომარეობით, რაც ყველაზე მძათრად

⁶ კუპრავა თ., „გლობალიზაცია: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები“, თბილისი; 2008 გვ 8

მახსენდება არის ის, რომ საქართველოს გააჩნია საგარეო ლიკვიდურობის სუსტი მაჩვენებლები, აგრეთვე ჩამოუყალიბებელი როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი და ეკონომიკური ინსტიტუტები, რეგიონულ კონფლიქტებთან დაკავშირებული პოლიტიკური გაურკვეველობა და ა.შ. ასევე ვიცით, რომ საქართველოში დღეის მდგომარეობით უფრო მკაფიოდ იგრძნობა ის უჩვეულო პრობლემა რაც არსებობს შრომის ბაზაზე. ადგილი აქვს ერთგვარ დისბალანსს. ხდება ის, რომ ერთი მხრივ, არსებობს მაღალი მოთხოვნა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე, მეორე მხრივ კი, არსებობს ჭარბი სამუშაო ძალის მიწოდება, სადაც მთავარი პრობლემა კვლავ არასათანადო კვალიფიკაცია და არა მოთხოვნადი პროფესიებია. ზემოთაც აღვნიშნე, რომ მნიშვნელოვანია გავთვალისწინოთ საქართველოში არსებული ის გარემოებაც, თუ რა ნეგატიური გავლენის მოხდენა შეუძლია საგარეო ვალის ზრდას⁷.

ვიცით, რომ იგი იწვევს ფინანსური რესურსებით კვლავწარმოების პროცესის შეფერხებას. არსებობს გარკვეული კრიტერიუმები, რის საფუძველზეც ხდება აღნიშნული კუთხით მდგომარეობის შეფასება. ესენია: საგარეო ვალის თანაფარდობა, ასევე ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის, ასევე ბიუჯეტის საერთო შემოსავლებთან ან ქვეყნის შიდა პროდუქტთან. თუმცა ალბათ ყველაზე სრულყოფილი მაჩვენებელი საგარეო ვალების საექსპორტო შემოსავლებთან თანაფარდობაა. ეს ასე ხდება ალბათ იმიტომ რომ ვთვქათ, თუ რომელიმე ქვეყნის ეკონომიკა დაბალი ეფექტურობით ფუნქციონირებს, მას, ერთ სულ მოსახლეზე განგარიშებით, გაცილებით ნაკლები ვალიც რომ ჰქონდეს, ვიდრე მეორე ქვეყანს, რომლის ეკონომიკა სწრაფად ვითარდება და საექსპორტოდაც საკმაო რაოდენობის საქონელი გააქვს, უკანასკნელი უფრო ადვილად გადაიხდის ვალს. ქვეყნის საგარეო ვალის საშიშროების შესაფასებლად, მიჩნეულია საგარეო ვალის ან მასზე დარიცხული პროცენტის შეფარდება (ან ორივეს ერთად) ექსპორტის მოცულობასთან. საშიშროების ზღვარად მიჩნეულია საპროცენტო განაკვეთების შეფარდება ექსპორტთან,

⁷ Чарая В., Биржевые Реалии. Тбилиси. Business Time Georgia.
http://btime.ge/page.html?id_node=361&id_file=4629&lang=, 2013.

რომელიც 26-30 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ვფიქრობ ჩვენი ქვეყანა ამ შემთხვევაში კარგ მდგომარეობაში რეალურად არ იმყოფება.

მთლიანობაში ინვესტიციების შემცირება ყველაზე საგრძნობლად გამოვლინდა საწარმოო დანიშნულების პროდუქციის გამოშვებაში. ასეთი შემცირება გათვალისწინებულია თვითონ რეფორმების საერთო კონცეფციით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გრძელვადიან პერიოდში ასეთი პოლიტიკა ძალზე წამგებიანია და იგი შესაძლებელია, მხოლოდ მაშინ, თუ ქვეყანა სტაბილიზაციას შედარებით ხანმოკლე პერიოდში აღწევს. საქართველოს შემთხვევაში, მყარი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა ძალიან გახანგრძლივდა და ასეთ პირობებში ინვესტიციების სახელმწიფო დაფინანსების შემცირება ეკონომიკის პარალიზების ფაქტორად გვევლინება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინვესტიციების დაფინანსების მკვეთრი შემცირება გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით: საკუთრების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის მაღალი ტემპით; ანტიინფლაციური პოლიტიკით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების აუცილებლობით; სახელმწიფო ინვესტიციური პროგრამების შემცირებით. ეს იმას ნიშნავს, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების ამოცანას ინვესტიციური საქმიანობის ინტენსიფიკაცია, ანუ ფაქტობრივად ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა ეწირება, რაც სავსებით მიუღებელია.

5) პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების სიმცირე. განხილული იყო, რომ საწარმოების, განსაკუთრებით, მსხვილი საწარმოების გაყიდვიდან მიღებული რესურსების ინვესტიციების სახით გამოყენება, დააჩქარებდა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. მეორე მხრივ, თვითონ პრივატიზებული საწარმოები შეძლებდნენ უფრო ეფექტიან, მომგებიან ფუნქციონირებასა და ინვესტიციების დაფინანსებისათვის დამატებითი სახსრების მოზიდვას, მაგრამ სინამდვილეში ეს იმედები არ გამართლდა. პრივატიზებული საწარმოები, ისევე როგორც სახელმწიფო საწარმოები, განიცდიან ფინანსური რესურსების უკმარისობას და ამცირებენ ინვესტიციურ ხარჯებს. უფრო მეტიც, პრივატიზებული საწარმოების ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი გადავიდა ჩრდილოვან ეკონომიკაში ან საერთოდ, ქვეყნიდან არალეგალურად გაიტანეს. ამასთან,

მთლად არ გამართლდა უცხოური ინვესტიციების მასშტაბურად შემოსვლის იმედებიც, უპირატესად, ქვეყნის ინსტიტუციური მოუნყობლობის გამო. ამიტომაც ნაკლებად იზიდავს უცხოელ ინვესტორებს. საქართველოს პროდუქციის (და ექსპორტის) დიდი ნაწილი გადამუშავების გარეშე მიიღება და უფრო დაბალი დამატებითი ღირებულება აქვს, ვიდრე ევროკავშირის და სხვა მონინავე ეკონომიკის პროდუქციას. ექსპორტის ხარისხის წინასწარმა ანალიზმა აჩვენა, რომ რამდენიმე უდიდესმა საექსპორტო სექტორმა (მაგ.: ქიმიკატებმა და სატრანსპორტო აღჭურვილობამ) გაზარდა საბაზრო წილი და ასევე, ხარისხიც, ევროკავშირის ბაზარზე არსებულ კონკურენტებთან შედარებით. თუმცა, სხვა ექსპორტი ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა; მაგალითად, საკვები პროდუქტების სექტორმა, ხარისხის გაუმჯობესების მიუხედავად, საბაზრო წილი დაკარგა. საქართველოს პროდუქციის როგორც ტექნოლოგიური დახვეწის, ასევე, მისი მსოფლიო ბანკი - ივნისი, 2013 წელი. „ინოვაციურობის“ ხარისხის წინასწარმა შეფასებამ აჩვენა, რომ ქვეყანა საშუალო მაჩვენებელზე დაბლა ოპერირებს (შეფასებისას, ასევე, გამოიკვეთა, რომ საქართველოში ამ სფეროებში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და საქმიანობის გაუმჯობესებულ მაჩვენებელს შორის გარკვეული კავშირი არსებობს, გარდა ამისა, აქ პროცესის ინოვაციურობა უფრო თვალშისაცემია, ვიდრე პროდუქტის). საქართველოში არც პროდუქციის ან პროცესის ტექნოლოგიის თვალსაზრისით და არც ნოვატორობის კუთხით, მნიშვნელოვანი რეგიონული განსხვავებები არ გაგვაჩნია, გარდა იმ განსხვავებისა, რაც ეკონომიკური საქმიანობის უფრო ზოგად დონეებს ასახავს. საქართველოს რეგიონებში სახეზეა ტექნოლოგიური განახლებისა და ინოვაციების განვითარების მხარდაჭერის სისტემური და ინსტიტუციური ვაკუუმი, ასევე, მოძველებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური ბაზა, სუსტი საწარმოო სიმძლავრეები, შრომის დაბალი ხარისხი, წარმოების სხვა ფაქტორების განვითარების არსებული დონე და საჯარო ინტერვენციისა თუ ხელშეწყობის უკიდურესი შეზღუდულობა. აღნიშნული დიდად აფერხებს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცესების განვითარებას რეგიონებში. ჩამოთვლილ გამოწვევებს, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობებს ისიც, რომ, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, ეროვნული საინოვაციო სისტემებისა და შესაბამისი პლატფორმების განვითარება ვერ იღებს სასურველ შედეგს

და ვერ უწყობს სათანადოდ ხელს ქვეყნის საერთო კონკურენტუნარიანობისა თუ პროდუქტიულობის ამაღლებას, თუკი ეს პროცესი მოწყვეტილია შესატყვისი საინოვაციო სისტემების ქმედითი და სინერგიული დანერგვა განვითარებისგან სუბნაციონალურ დონეებზე.

2020 წლის პირველმა კვარტალმა სავალალო შედეგი მოიტანა - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 41.7%-ით შემცირდა. წლის დასაწყისში, პირველ ორ თვეში, კორონა ვირუსის პანდემია არ იყო მძლავრად მოდებული მსოფლიოში და თითქმის საერთოდ არ ფიქსირდებოდა საქართველოში. მიუხედავად ამისა, ვარდნა კატასტროფულია. გაცილებით უარესი იქნება მეორე კვარტალი. რა წილი აქვს პანდემიას შემცირებული ინვესტიციებში და რა წილი - მთავრობის ნაბიჯებსა და ქვეყნის ეკონომიკურ გარემოს,

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სმოცულობამ 2020 წლის 1-ელ კვარტალში 165.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის 1-ლი კვარტალის წინასწარ მონაცემებზე 41.7 პროცენტით ნაკლებია - იანვარ-მარტში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა ყველაზე დაბალია 2009 წლის შემდეგ, კერძოდ, 2019 წლის 1-ელ კვარტალში 283.6 მლნ აშშ დოლარი შემოვიდა, 2018 წლის ამავე პერიოდში - 323.5 მლნ დოლარი; 2017-ში - 411.7 მლნ დოლარი; 2016 წლის 1-ელ კვარტალში - 392.2 მლნ დოლარი; 2015 წლის საანგარიშო პერიოდში - 343.4 მლნ დოლარი; 2014-ში - 331.9 მლნ დოლარი; 2013 წლის ამავე პერიოდში - 291.8 მლნ დოლარი; 2012 წლის 1-ელ კვარტალში - 312.4 მლნ დოლარი; 2011-ში - 222.6 მლნ დოლარი; 2010 წლის 1-ელ კვარტალში - 176.1 მლნ დოლარი; ხოლო 2009 წლის საანგარიშო პერიოდში - 114.5 მლნ აშშ დოლარი.

ეს არის მუდმივი ვარდნის სამწუხარო ტენდენცია, რომელიც ბოლო წლებში სახეზეა. კლება იყო მოსალოდნელი, თუმცა ასეთ დიდ მასშტაბებზე, რა თქმა უნდა, თავისი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კოვიდ პანდემიამაც. მიუხედავად იმისა, რომ პირველი კვარტალის ორ თვეში არ იყო ჩვენთან ვირუსის გავრცელება, მაინც არსებობდა მოლოდინი, როგორც ევროპის მთელ კონტინენტზე, ისევე საქართველოში, რომ ვირუსი გავრცელდებოდა. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, საერთაშორისო ინვესტორები

ფრთხილობენ. უნდა ითქვას ისიც, რომ ინვესტორები ერთად ორ დღეში არ იღებენ გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, კლება არასწორი ეკონომიკური პოლიტიკით და არასწორი ფუნდამენტის მომზადებით უფროა განპირობებული. წინასწარ რთულია და არასწორიც პროგნოზის გაკეთება, მაგრამ ნამდვილად სავარაუდო იყო ეს შედეგი, რაშიც მცირედი წვლილი კორონავირუსსაც აქვს. არასწორი და ცუდი საბაზრო პირობები, ლიკვიდურობის არ ქონა, კაპიტალიზაციის დაბალი დონე - ეს არის ინვესტიციების ნაკლებობის ძირითადი მიზეზები. როგორც წესი, არავის სურს ასეთ პირობებში ფულის ჩადება. საქართველოს საერთაშორისო ინდექსებშიც ბოლო ორი წლის განმავლობაში ჰქონდა კლება და, შესაბამისად, ამას ინვესტორებიც უყურებენ.


დღეს საქართველოს უკვე აღარ აქვს იდეალური მდგომარეობა საინვესტიციო მიზმიდველობის თვალსაზრისით. შესაბამისად, წლის დარჩენილ პერიოდშიც აუცილებლად ვარდნა გვექნება, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, ერთ და ორ დღეში არ წყდება ინვესტიციების დაბანდების საკითხი... ორი ძირითადი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომლებიც საქართველომ უნდა გადადგას, ეს არის კერძო საკუთრების სრულად ფორმირება და, პარალელურად, სავადასახადო ლიბერალიზაცია. ასეთ შემთხვევაში, მართლაც გვექნება ინვესტიციების ბუმი, მით უფრო, როცა საერთაშორისო ბაზარზე არ არის სხვებისათვის იდეალური მდგომარეობა.

რაც შეეხება COVID-19 ზეგავლენას საქართველოს ეკონომიკაზე ამაზე ქვემოთ თანდართული ცხრილები მეტყველებს:

ძირითადი მიგნებები:

<p>COVID-19-ის გავრცელების დინამიკა და აღფხენის მოლოდინები</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ საპარტველო უშუაშუაოდ აგრძელებს ვირუსის გავრცელების გართვას ▶ გავრცელებს ქრითულ ეპიდემიებში მხლელვანი უმარობრივად რბილდება; საპარტველო მხლელვანის მოხსნა უკვე მიხდინარეობს და ივნისი-ივლისში განგრძობდება ▶ საპარტველოში შილა დროები ივნისიდან, ხოლო საპარტველოში დროები ივლისიდან დაიწყებას ალფხენას, შესაბამისი COVID-19-ის ნეაბის ფსკით
<p>აკომოიპის ზრდის პროგნოზები</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ თბილისიდან აკომოიპიდან აკომოიპი ზრდის პროგნოზები უმარობრივად უარესდება, შეფოგო შეფარბით ფსტბბილურდა ▶ საბაზო სმარბით 2020 წელს საპარტველოს შგკ-ს შემბრბაბა 4.5-5.5% ფარბლებში არის მოსალოდნელი, შემრბ კარბლის მკვეთრი ვარფხის შეფოგო უმარობრივი აღფხენა დაიწყება, 2021 წელს 4-5% ფარბლებში ზრდა არის მოსალოდნელი ▶ 2020 წლის მანბილა ბარბისბული შემოიწნებაბის 65%-ით შემბრბაბა მოსალოდნელი. საპარტველო აბბბბაბა შემრბ კარბლის შეფოგო დაიწყებას ფარბნებას და 20196. ფონის ფარბნებას ფაბ. 1.5 წელი ფსტბბბაბა
<p>სხვა ძირითადი მაკროკარბბბბბ</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ შემოიწნებაბის ფარბლინი (-1.4 ბლურ აბშ ფოლარი) ფარბნებაბული 3.1 ბლურ ფოლარის ფოლურდა და უშბბბბბბაბა განკარბბის შემბნებაბული სკბბბბბბბ ▶ წლის ბოლბბბბბბ ინფლსბბი ფაბ. 5%-ბლ შემბრბაბა ▶ წლის ბანბბბბბ ლარბს ფარბბბბბბ მკვეთრი ბაუფასბბბბა ნაკლბ საბარბბბბ, ფა წლის ბოლბბ ფაბ. 3.1 ნბნბლბა ფსტბბბბბბბბა პროგნოზბრბაბული ▶ ბოლო კარბოიწნ ზრდის შეფოგო მოსალოდნელი ლარბს საკომბბბბბ განკვეთბბბბ შემბრბაბა
<p>მოსალოდნელი ზგგვლბბა ბბნბს სეპტორბბბ</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ ბბბბ ბბბბ ბბბბბბბბბული 14 ძბბბბბბ სეპტორბბბ, შეფარბბბბბ მოგარბბბბს FMCG, ფარბა და ბბლბბბბბბბბბბბბბბბ ბბბბბბბ, ხოლო ბბბბბბბბბ ბბბბბბბ ▶ 2019 წელბბბ შეფარბბბბბბბბბბბბბბბ (ფოლარი) 2020 წელს ფაბ. 85%, 2021 წელს ფაბ. 35%, ხოლო 2022 წელს ფაბ. 0-5% კლბბბა მოსალოდნელი ▶ საბბბბბბბბბ ბბბბბბბ სეპტორბბ COVID-19-ბბბ ბაუფასბბბბბბბბბბბბბბბბ ბბბბბბბ ბრ ფბბბბბბბბბბბბ, ბბბბბბბ ფაბ. ბრბბბბბბბბბბ ბბბბბბბბბბბბბბბ ▶ 2020 წელს ფბბბბბბბბბბბბბბბბ (ფოლარი) ფაბ. 35%-ბბ კლბბბა მოსალოდნელი ▶ კომბბბბბბბ ბბბბბბბ სეპტორბბ 2020 წელს ფაბ. 25%-ბბ (ფოლარი) კლბბბა მოსალოდნელი


საქართველო ეფექტურად აგრძელებს ვირუსის მართვას:



თებერვლიდან აპრილამდე ეკონომიკური ზრდის პროგნოზები ეტაპობრივად უარესდებოდა, შემდგომ შედარებით:

გამომყვანების თარიღი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
გლობალური ზრდის პროგნოზი				
Citi Research	1.3%	-1.6%		
McKinsey	1.0; -1.5%	-1.5; -4.7%	-1.8; -5.7%	-1.5; -4.7%
Fitch	1.3%		-1.9%	-3.9%
Moody's		-0.5%		-4.0%
S&P		0.4%		-2.4%
IMF			-3.0%	
საერთაშორისო ზრდის პროგნოზი				
TBC Capital	1.7; 2.5%*	-4.5%*		-4.5%; -5.5%*
ADB		0%		
RENCAP		-0.5%		-2.9%
Galt & Taggart	3.0%	-3.5%**	-4.0%	
Sberbank		-4.2%		
World Bank		-0.2; -2.0%		
IMF			-4.0%	
NBG				-4.0%
MOF			-4.0%	
EBRD				-5.5%
PMCG			-6.2%***	

სხვადასხვა პროგნოზის მიხედვით გლობალური ეკონომიკა 2019 წლის დონეს 2021 -2022 წელს დაუბრუნდება:



საბაზო სცენარით 2020 წელს ეკონომიკა 4,5 – 5,5% -ით მცირდება და 2021 წელს 4 -5% ით იზრდება:


	სწრაფი აღდგენა	საბაზო	გვიანი აღდგენა
ექსპორტი*	-20.0	-25.0	-40.0
ტურიზმი*	-55.0	-65.0	-80.0
გზავნილები*	-15.0	-25.0	-40.0
FDI*	-25.0	-40.0	-55.0
იმპორტი*	-21.3	-26.2	-38.0
ფინანსური დოვანდით**	8.1	9.6	13.0
საბანკო კრედიტი***	+6.5	+4.5	-5.0
ეკონომიკის ზრდა	-3.0%	-4.5/- 5.5%	-10.5%

* საპარტეზლო უფრო მეტად ტურიზმზე დამოკიდებული ვიღაც მისი ეკონომიკური პარტნიორები. აღდგენა, სხვა საბანკო შემოღობვების კუთხით ნაკლები შიკა მოსალოდნელი.
 ** საბაზო სცენარით, 2020 წლის ბოლოსთვის ნაშთის ფასების (გრანტი) დასალოცებით 40%-ზე მეტი ზრდა ნაკლებად, რაც 2019 წლის ბოლოს არსებულ, დასალოცებით 55%-თან შედარებით მაინც მნიშვნელოვნად ნაკლებია, თუმცა რამდენიმე ნაშთზე დამოკიდებული ეკონომიკისთვის, მათ გიჟებები ჩაღებულნი ბუფერების მათვალისწინებით, მაინც შედარებით მისაღები გარემოებაა.

*** ზრდა ან დაკლება ** მშპ-თან ფართობი, თიხის კაპიტალის შესახებ, GFSM 1986 მეთოდოლოგია *** კრიზისის ბოლო, მუდმივი მცველი პირი, მშპ-ს შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციით შესწორებული პერიოდის საშუალო სხვაობის ზრდა

შემოდინებების დანაკლისი მოზიდული სახსრებით საკმარისად კომპენსირდება:


2020 წლის შემოდინებასი ძირითადი კომპონენტების ცვლილება 2019 წელთან შედარებით და მოსალოდნელი შემოდინება დანაკლისი (მლრდ აშშ დოლარი)




წყარო: თიბისი კაპიტალი

- 2020 წ. მოსალოდნელი შემოდინების შემდეგ დანაკლისი დაახ. 1.4 მლრდ აშშ დოლარი, სიღრმე 900 მლნ მიმდინარე ანგარიშის, სოლო 500 მლნ FDI-ს შემოსავალი დანაკლისი (დაახ. 300 მლნ სავალუტო შემოდინების შემცირება, დანარჩენი - რეინვესტირების კლდე)
- დაინტერესებული სხვების ჯამურად დაახ. 3.1 მლრდ დოლარი, სიღრმე სახელმწიფო 1.6, სოლო კერძო სექტორმა 1.5 მლრდ დოლარი, სიღრმე სახელმწიფო
- სახელმწიფო სხვების მიზნობრივად მოიცავს:
 - სოციალური მხარდაჭერის პროგრამებს 1,035 მლნ ლარის ოდენობით
 - ეკონომიკის და მენარეობის პროგრამებს 2,110 მლნ ლარის ოდენობით
 - ჯანდაცვის სისტემაზე ხარჯებს 350 მლნ ლარის ოდენობით
- მომავალი თანხის 1 მლრდ სახელმწიფო და კერძო ვალის რეფინანსირება მოხდება
- მოსალოდნელია თანხა ნაწილობრივ 2021 წ. იყო სხვისი ინვესტიციები/გადახარჯვა
- დროულად დახარჯვის და ეფექტურად გადარჩვის პირობებში, მომავალი თანხა დანაკლისს აბალანსებს
- იმპორტის კლდე რამდენიმე ფაქტორი გააპრობებს, მათ შორის:
 - შემოდინების კლდე
 - აღვიწრობის მოთხოვნის შემცირება საბაზო მდგომარეობის და ბიზნეს/სამომხმარებლო განწყობის გაუმჯობესების გამო
 - დაახ. არსებულ დონეზე კურსის გაუმჯობესება, რაც იმპორტის შემცირებაზე შემოსავლის ეფექტით ახდენს გავლენას და არა იმდენად განაცვლების ეფექტით
- საბარტოვლო ეკონომიკა სავალუტო კაპიტალზე ნაკლებად დამოკიდებული. არსლის მდგომარეობით არა-რეგიონების ფლოტაციონებში არსებული მთავრობის ფასიანი ქაღალდების რეინვესტირების შემცირება არ შეინიშნება


ლარის მკვეთრი გაუარესება ბიზნეს და სამომხმარებლო განწყობებს დამატებით გაუარესებს:



საბაზო სცენარით 2020 წელს ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელს ზემოთ დარჩება:



ლარის რესურსზე საპროცენტო განაკვეთები სავარაუდოდ დასტაბილურდება და/ან შემცირდება:



დღეს საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივის, სავადასახადო აღმინსტრირების, ვადასახადების წნეხის სიმცირით, ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლით, კორუფციის სიმცირით ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა მსოფლიოში. თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩვენი ეკონომიკური პარამეტრები მაინც არ არის იმ დონეზე, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მაღალ დონეზე არსებობას და საჭირო საინვესტიციო მიმზიდველობას. იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას საქართველოს გამონვევებზე

საინვესტიციო კუთხით და განვსაზღვროთ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საინვესტიციო რესურსების მოზიდვის შესაძლებლობები, აუცილებელია შევაფასოთ ის რისკ-ფაქტორები, რაც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას. პოლიტიკური ფაქტორებიდან გასათვალისწინებელია რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობა და პოლიტიკური არასტაბილურობა. უპირველესი და ყველაზე პრობლემური საკითხი საქართველოსთვის არის ოკუპირებული ტერიტორიები. 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომის შემდგომ არსებობს მუდმივი საფრთხე, რომ კიდევ ერთხელ სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში დიდი საფრთხე შეექმნება ბიზნესს, რაც რა თქმა უნდა, არასაიმედო და ინვესტიციების დაბანდების კუთხით გასათვალისწინებელი ფაქტორია. პოლიტიკურ არასტაბილურობაში იგულისხმება მუდმივი შიდა დაპირისპირება პოლიტიკურ ორგანიზაციებს და საზოგადოების ფენებს შორის, რაც ქმნის რისკს, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში, შეიცვალოს პოლიტიკური კურსი ან საფრთხე შეექმნას ბიზნესს. ასევე, პრობლემას წარმოადგენს ცალკეული ინსტიტუციების სისუსტე, რომელიც ინვესტორების ნაკლებობას მათ მიმართ. რაც შეეხება, ეკონომიკურ ფაქტორებს, რომელიც ართულებს ინვესტიციების დიდი მოცულობით დაბანდვას საქართველოში აღსანიშნავია: ეროვნული ვალუტის რყევა და გარე შოკების მიმართ სუსტი მდგრადობა, მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონე და სოციალური უთანასწორობა, ჭარბვალიანობა, ინფლაცია და ფასების არასტაბილურობა, მაღალი სავაჭრო დეფიციტი, ინოვაციური ეკონომიკის სიმცირე და სხვა. განვიხილოთ თითოეული მათგანი: ეროვნული ვალუტის მერყეობა და გარე შოკების მიმართ სუსტი მდგრადობა. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლარის კურსის პოლიტიკა დაფუძნებულია მკურავ სავალუტო კურსზე, რაც ნიშნავს, რომ მისი ნიშნული სხვა ვალუტებთან განისაზღვრება მოთხოვნა-მიწოდების თანათვარდობით. შესაბამისად, ეროვნული ვალუტა მერყეობს ეკონომიკური მდგომარეობის, ფულადი ნაკადების მიმოცვლის, სავაჭრო პოლიტიკის და გარე ფაქტორების ცვალებადობის მიხედვით, როგორცაა სავაჭრო ომები, ეკონომიკური რეცესია პარტნიორ ქვეყნებში და სხვა. ვინაიდან, ძირითადი უცხოური სავაჭრო ვალუტა საქართველოსთვის არის ამერიკული დოლარი, განვიხილოთ ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობა უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე.

დოლარი-ლარის წყვილი ბოლო დეკადის მანძილზე საკმაოდ მერყევი იყო და ლარი ამ პერიოდში დაახლოებით 60%-ით გაუფასურდა. რათქმაუნდა, აღნიშნული დევალვაცია დიდი პრობლემა აღმოჩნდა ბიზნესისთვის შემოსავლების კუთხით და რათქმაუნდა მოსახლეობისთვისაც, რადგანაც საქართველო მომხმარებელი ტიპის ეკონომიკაა და დიდწილად იმპორტირებულ პროდუქციაზეა დამოკიდებული, შესაბამისად, ლარის გაუფასურებამ უცხოური პროდუქცია გააძვირა, რაც ავტომატურად საშიშია იმისთვის ვინც ინვესტიციის განხორციელებას აპირებს ქვეყანაში. ცხადია, ვალუტის კუთხით მუდმივი მერყეობა ართულებს საინვესტიციო დაგეგმარებას და ფულადი ნაკადების პროგნოზირებას, რაც თავისთავად წარმოადგენს რისკს. საქართველოს ეკონომიკაზე და ამავე დროს ვალუტაზე, დიდი გავლენა აქვს ძირითად პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებს. ამის კარგი მაგალითი იყო აზერბაიჯანში, უკრაინაში და თურქეთში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენები. ამ ქვეყნების ვალუტების დასუსტება და ეკონომიკური შოკები მყისიერად აისახა ჩვენს ქვეყანაზე. მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონე და სოციალური უთანასწორობა.

დაბალი შემოსავლები და მძიმე სოციალური მდგომარეობა კიდევ ერთი პრობლემაა, რომელიც დიდი ფინანსური რესურსების მოზიდვას ხელს უშლის. თუ გადავხედავთ სტატისტიკას, ერთ სულზე გაანგარიშებული მშპ-ს მაჩვენებელი რამდენიმე ათეულჯერ ჩამოუვარდება განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს, მოსახლეობის მეხუთედი კი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა. ეს მდგომარეობა კი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში დიდი ინვესტიციების ჩადების რისკს ქმნის, რადგანაც ადგილობრივი ბაზარი საკმაოდ მცირე და მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა საქართველოს საგარეო ვალის დინამიკა მზარდია, დევალვაციის ფონზე კიდევ უფრო მტკივნეულია ეს პროცესი სახელმწიფოსთვის. ეს ტვირთი კი მოსახლეობას და გადასახადების გადამხდელებს აწვება. რაც შეეხება მოსახლეობის ჭარბვალიანობას, აქაც მაღალია საკრედიტო ორგანიზაციებიდან მიღებული ფულადი სახსრების წილი ცალკეული მოქალაქეების ვალდებულებებში, რაც თავისთავად განკარგვადი შემოსავლი შემცირებას განაპირობებს. ხშირ შემთხვევაში მოქალაქეების მიერ გადასახდელი საკრედიტო თანხები აღემატება მათ შემოსავლებს, რაც საკრედიტო ორგანიზაციებისთვის თანხების ამოღების

საფრთხეს წარმოადგენს. თუმცა, ამ პრობლემის მოსაგვარებლად ეროვნულმა ბანკმა მიმდინარე წელს შემოიღო საბანკო რეგულაციები, რომელმაც შედარებით გაართულა კრედიტებზე ხელმისაწვდომობა მოსახლეობისთვის, რაც გრძელვადიან პერიოდში ჭარბვალიანობის დაძლევის წინაპირობას ქმნის. ინფლაცია და ფასების არასტაბილურობა . ფასების მაღალი მერყეობა ბიზნესს ძალიან აზარალებს, რადგან რეალურ შემოსავლებს ამცირებს. იმ ქვეყნებში სადაც ფასები არასტაბილურია თავს იკავებენ ბიზნესის დანების, რადგანაც ამან შეიძლება დიდი ზარალი და წაგება მოუტანოს ინვესტორს. თუ თავს გადავავლებთ დინამიკას, დავინახავთ, რომ ფასები საკმაოდ არასტაბილურია, რისი მიზეზიც, ერთი მხრივ, ქვეყნის შიდა ეკონომიკური მდგომარეობა, ხოლო მეორე მხრივ, გარე შოკები გახლდათ.

ფასების ღონე მუდმივი მერყეობით ხასიათდება, რაც მაღალი საბაზრო რისკია კაპიტალდაბანდების განხორციელების მსურველთათვის. მაღალი სავაჭრო დეფიციტი. საქართველოს ეკონომიკისთვის კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს დიდი სავაჭრო დეფიციტი, რაც საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მთავარ წყაროს წარმოადგენს. უარყოფითი სავაჭრო ბალანსი იწვევს უცხოური ვალუტის დიდი რაოდენობით ქვეყნიდან გადინებას და ადგილობრივი ვალუტის დევალვაციას. იმპორტზე დამოკიდებულება განაპირობებს იმპორტირებული სამომხმარებლო პროდუქტების ფასებზე ცვლილებების გამო, ინფლაციის და ფასების მერყეობის მაღალ მაჩვენებელს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური რისკებისა, საქართველოს წინაშე მრავალი გამოწვევაა, რომელთა დაძლევა საინვესტიციო მიმზიდველობის გზაზე უმიშვნელოვანესია. ერთ-ერთი ასეთია ინოვაციური ეკონომიკის სიმცირე. ამის დასტურია გლობალური ინოვაციების ინდექსის რეიტინგი, რომლის მიხედვითაც საქართველო მსოფლიოში 59-ე პოზიციაზეა. საქართველოში არასათანადოდ არის განვითარებული ინოვაციური ინფრასტრუქტურა, ინოვაციური ბიზნესის განვითარების ღონე, შემოქმედებითობა, ადამიანური კაპიტალი და კვლევები.

საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობას ბევრი ხელის შემშლელი ფაქტორი აქვს, რომელთა დაძლევა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. იმისთვის, რომ საინვესტიციო

რისკ-ფაქტორების შემცირება ან საუკეთესო შემთხვევაში განეიტრალება მოვახდინოთ, აუცილებელია ხელი შევუწყოთ ჩვენს ქვეყანაში მდგრად და სტაბილურ განვითარებას. მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ამ საკითხში ეკისრება მთავრობას და ეროვნულ ბანკს. ამ ორი ინსტიტუციის ხელშია მაკროეკონომიკური სტაბილურობა, მათ ერთობლივ ძალისხმევას შეუძლია ერთის მხრივ, მოახდინოს ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობის გაძლიერება, ფასების მერყეობის შემცირება და საბაზრო მოთხოვნის დინამიკის ზრდა, მეორეს მხრივ, თუკი მოხდება მეტი ინფორმირებულობა მოსახლეობისა და პოტენციური ინვესტორების, საინვესტიციო რესურსებთან წვდომის გაზრდა და ეკონომიკის პერსპექტიული დარგებში ინვესტიციების ხელშეწყობის და დივერსიფიკაციის საშუალებების ზრდა, საბოლოოდ, საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობა კიდევ უფრო განვითარდება.

2.2. სამენარმეო საქმიანობის საინვესტიციო უზრუნველყოფის გზები საქართველოში

თანამედროვე მსოფლიოში აღინიშნება უცხოური დაბანდების განხორციელების ფორმათა და მეთოდების დიდი დივერსიფიკაცია, მაგრამ მათი დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით მიღებულია უცხოური ინვესტიციების შემდეგი კლასიფიკაცია: ინვესტიციების ობიექტის მიხედვით განასხვავებენ ფინანსურ და რეალურ ინვესტიციებს. რეალური ინვესტიციების ქვეშ იგულისხმება დაბანდებები უშუალოდ წარმოებაში, ანუ ძირითად კაპიტალში და საბრუნავ საშუალებებში. ფინანსურ ინვესტიციებს მიეკუთვნება დაბანდებები ფასიან ქაღალდებში, მიზნობრივი ფულადი ანგარიშები, კრედიტები და ა.შ. როგორც უკვე ავღნიშნეთ ინვესტიციების კლასიფიკაციის მრავალი მეთოდი არსებობს, მაგრამ ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე დივერსიფიკაციას მოვახდენთ ინვესტიციების წარმოშობის ადგილის მიხედვით.

მსოფლიოში აპრობირებულია შერეული ეკონომიკური სისტემა, რომელსაც შუალედური მდგომარეობა აქვს კაპიტალიზმსა და საკომანდო ეკონომიკას შორის. ამ ეკონომიკისათვის დამახასიათებელია, როგორც თავისუფალი მენარმეობა, ასევე სახელმწიფო სამენარმეო სექტორი. კერძო სექტორში ფართოდ არის წარმოდგენილი მცირე და საშუალო ბიზნესი. მცირე ბიზნესი ქმნის ახალ ნაწარმს, იყენებს ახალ

ტექნოლოგიებს, იღებს ახალ მარკეტინგულ გადამწყვეტილებებს, ავსებს დიდ საწარმოებს შორის არსებულ ნიშას და უფრო ელასტიურს ქმნის მათ ერთმანეთთან დამოკიდებულებას. ასაქმებს მრავალ ადამიანს, არის თულის მნიშვნელოვანი მასის შემომტანი ეკონომიკაში, უფრო ხშირად მიდის რისკზე ვიდრე დიდი კომპანიები, ნაკლები აქვს იერარქიული მართვის ხარჯები და შესაბამისად არ ჭირდება დამატებითი კონტროლი. დღეისათვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ქვეყანაში ისეთი ბიზნეს გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში. დიდი ინვესტიციები ხელს შეუწყობს მრეწველობის განვითარებას, სესხის გაიაფებას და წარმატებული სამენარმეო გარემოს შექმნას. ქვეყანაში შემომავალი ინვესტიციების დონე ასახავს: რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური და დარგობრივი ზრდის პერსპექტივა.

საინვესტიციო პოლიტიკაში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონული საინვესტიციო სისტემის ჩამოყალიბებას და კვლევას. რეგიონის მიერ საინვესტიციო პრობლემების გადამწყვეტა საჭიროებს სამუშაოთა კომპლექსს, რომელიც მეცნიერულად უნდა იყოს დასაბუთებული. სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები, მათი სამართლებრივი უზრუნველყოფა, რეგიონული საინვესტიციო ბიუჯეტის ჩამოყალიბება და კავშირი სახელმწიფო საინვესტიციო ბიუჯეტთან. ინვესტირებას საქართველოში 2009 წლიდან კლებადი მაჩვენებელი ჰქონდა. საერთოდ დიდი სამუშაო არის შესასრულებელი რეგიონული ინვესტიციების განვითარების ხაზით. ინვესტიციების კვლევა გვიჩვენებს, რომ უარყოფითი ფაქტორები, რომლებიც ინვესტიციების შემოდინებას უშლის ხელს და უარყოფითად მოქმედებს საინვესტიციო გარემოზე არის ა) პოლიტიკური არეულობა; ბ) მაკროეკონომიკური არასტაბილურობა; გ) კორუფცია; დ) სამართლებრივი რეგულირება ე) გადასახადები. მნიშვნელოვანია მთავრობამ ყურადღება გაამახვილოს იმ ფაქტზე, რომ საქართველოს რეგიონები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან განვითარებაში თბილისს, რომელმაც მთლიანი ბიზნესს ბრუნვის 72% მოდის, ხოლო რეგიონებში დანარჩენი 28%. ბიზნეს ბრუნვა თბილისში წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე არის 27 200 ლარი, ხოლო რეგიონში ეს მაჩვენებელი სულ რაღაც 3 700 ლარია. რეგიონული ბიზნესი ხასიათდება

დაბალი პროდუქტიულობით და კონკურენტუნარიანობით. ამ პრობლემის მოგვარება უნდა იყოს პრიორიტეტული საქართველოს მთავრობის პოლიტიკაში. ჩვენი ღრმა რწმენით გარდა იმისა, რომ ინვესტიციების ნაკადებს უნდა გაეხსნას გზა რეგიონებისაკენ, ამასთან უნდა ჩამოყალიბდეს ინვესტიციების მართვის სწორი მექანიზმი რეგიონში. რაც მთავარია ინვესტიციების განთავსების პრიორიტეტები უნდა განისაზღვროს რეგიონის მმართველობითი აპარატის მიერ რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით. კარგი იქნება მუნიციპალიტეტებს დაევალოს მის არეალში არსებული საწარმოების პრობლემების კვლევა და ამ ინფორმაციის გათვალისწინებით განისაზღვროს პრიორიტეტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მენარმეობის განვითარებას. უმჯობესია ჯერ დახმარება მოხდეს იმ სექტორზე, სადაც უფრო ადვილი იქნება მდგომარეობის გამოსწორება და შემდგომ გაზრდილი შემოსავლები ორიენტირებული იქნას სრულყოფილი სამენარმეო ინფრასტრუქტურის შექმნისაკენ. ამასთან მნიშვნელოვანია სწორად გათვლილი კონტროლის სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მცირე დანახარჯებით ეფექტურად გავაკონტროლოთ იმ თანხების განკარგვა, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის მიზანმიმართულ განვითარებას. საყურადღებოა რეგიონების მიხედვით ინვესტიციების განაწილების უთანხმოება, რაც მნიშვნელოვნად აისახება სამუშაო ადგილების შექმნაზე.

ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი შემოდის თბილისში, რაც განაპირობებს სამუშაო ძალის გადაადგილებას თბილისში. იმერეთი მეოთხე ადგილზეა თბილისის, აჭარის, და სამეგრელო ზემო სვანეთის მერე. შესაბამისად გაცილებით დიდი გამოცოცხლებაა სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში სხვებთან შედარებით. შესაბამისად გასათვალისწინებელია არსებული მდგომარეობა და საჭიროა გავააქტიუროთ იმ რეგიონებში ინვესტირება, რომლებიც ასე მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან, რათა დავაკავოთ მოსახლეობა ადგილზე და მივიღოთ თანაბრად განვითარებული საქართველო. ქვეყანას ახასიათებს ბევრი პოზიტიური მაჩვენებელი, რომელიც ხელს უწყობს ინვესტიციების განხორციელებას: მდიდარი ბუნებრივი და ადამიანური რესურსები, იაფი კვალიფიციური მუშახელი, ჩამოყალიბებული საბანკო სექტორი. თუ ინვესტიციების განხორციელების დადებითი ფაქტორი არის: ახალი სამუშაო ადგილები, დასაქმებული მოსახლეობა, განახლებული წარმოებები, ინფრასტრუქტურა.

უარყოფითი მხარეებიც საკმარისად აქვს მათ შორის: ეროვნულ წარმოებაზე კონტროლის დაქვეითება, ეროვნული ფირმების შევიწროება, დანახარჯების ზრდა, შეიძლება პოლიტიკური თავისუფლების დაკარგვაც.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და რაციონალური გამოყენება საქართველოში ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამ პრობლემის ოპტიმალურად გადაწყვეტაზე დამოკიდებული ეკონომიკაში რეალური გარდაქმნების განხორციელება და საქართველოს ეკონომიკის ორგანული ჩართვა მსოფლიო მეურნეობაში. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემის აქტუალობას ზრდის საქართველოს ეკონომიკაში ამჟამად შექმნილი მდგომარეობა: მნიშვნელოვანი საგარეო ვალი, უმუშევრობის მაღალი დონე, ხალხის ცხოვრების დაბალი დონე, ინვესტიციური აქტიურობის დაბალი დონე, წარმოების ასამოქმედებლად საკუთარი სახსრების პრაქტიკულად უქონლობა. თანამედროვე ეტაპზე საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რა მოტივი ამოძრავებთ უცხოელ ინვესტორებს, როდესაც ახდენენ პირდაპირ ინვესტირებას საზღვარგარეთის ქვეყნებში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაცია, პირობითად, შეიძლება ოთხ ჯგუფად დავყოთ. პირველი ჯგუფი აერთიანებს ინვესტორ კომპანიებს, რომლებიც უცხოეთში ახდენენ ინვესტირებას იმ მიზნით, რომ მიიღონ მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსები რეალურზე უფრო დაბალი ღირებულებით, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში (რესურსების მაძიებელნი). მეორე ჯგუფს წარმოადგენენ სანარმოები, რომლებიც ინვესტირებას ახორციელებენ რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში ან რეგიონში, რათა უზრუნველყონ საქონლის ან მომსახურების მიწოდება ამ ქვეყნის ან მეზობელი სახელმწიფოების (რეგიონების) ბაზრებზე (ბაზრის მაძიებლები). მესამე ჯგუფს, პირობითად, შეიძლება ეფექტიანობის მაძიებელნი ვუნოდოთ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით კომპანიის ეფექტიანობის ამაღლება გულისხმობს რესურსების ისეთ განაწილებას, როცა მაქსიმალური უკუგება მიიღწევა. ინვესტორთა აღნიშნული ჯგუფი ძირითადად ახორციელებს ინვესტირებას ქვეყნებში, სადაც ეფექტიანი ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა, სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციაა. მეოთხე ჯგუფს მიეკუთვნება ტრანსეროვნული კორპორაციები. ისინი ცდილობენ აითვისონ ისეთი აქტივები, რომლებიც ხელს უწყობენ მათი გრძელვადიანი სტრატეგიული

მიზნების მიღწევასა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას (სტრატეგიული აქტივების მაძიებლები). უცხოური ინვესტორების გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე დამოკიდებულია მის ეკონომიკურ პოტენციალზე, ეკონომიკის ფუნქციონირების ხასიათზე, საბაზრო მექანიზმის განვითარების ხარისხზე. საკანონმდებლო ნორმებსა და სხვა პარამეტრებზე. მეორეს მხრივ, არანაკლები მნიშვნელობა აქვს ინვესტორის თავისებურებებს, ინვესტიციების განხორციელების ფორმებს და სფეროებს. მიმღებ ქვეყანაში ინვესტიციების გავლენა ვლინდება შემდეგში: ეკონომიკის ზრდის ტემპზე პოზიტიური გავლენა; ქვეყანაში საერთოდ ინვესტიციურ აქტიურობის გაძლიერება; მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტექნოლოგიურ პროცესებში და ქვეყნის შრომითი და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენების ამაღლებაში; მიმღები ქვეყნის მეურნეობის პროგრესულ ტერიტორიულ და დარგობრივ სტრუქტურისა და ხელის შეწყობა და ბოლოს უცხოური ინვესტიციები მოქმედებენ ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც ვლინდება მის საექსპორტო პოტენციალში, მოქმედებს სავაჭრო და საგადასახადო ბალანსზე. ქვეყნის შიდა ინვესტიციური რესურსების ნაკლებობის შემთხვევაში მისი შევსების წყარო ხდება კაპიტალის იმპორტი. ამასთან, ინვესტიციების დეფიციტი არის ფარდობითი, რადგან ინვესტიციებზე მოთხოვნებს განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემა და მისი განვითარების დონე. ინვესტორები, რომლებიც ავსებენ ეროვნული მეურნეობის იმ თავისუფალ სივრცეს, რომელსაც სხვადასხვა მიზეზით ვერ უზრუნველყოფს ეროვნული კაპიტალი უკანასკნელთან მიმართებაში, წარმოადგენენ „დამატებითს“. დამატებითი უცხოური ინვესტიციები შესაძლებელია ადგილობრივი კაპიტალის დაგროვების სიჭარბის პირობებშიც, თუ ისინი გადალახავენ რომელიმე დარგში შეღწევის ბარიერს. „დამატებითი“ უცხოური ინვესტიციების ეფექტი მიმღები ქვეყნისათვის დადებითია, რადგან ისინი ავსებენ ინვესტიციურ რესურსებს, ხელს უწყობენ ეკონომიკურ ზრდას. არსებითია ის, რომ საერთოდ ინვესტიციებს ახასიათებს მულტიპლიკატორის ეფექტი. ე.ი. გარკვეულ დარგში მიმართული ინვესტიციები იწვევენ მომიჯნავე დარგების განვითარებას. უცხოური ინვესტიციების გავლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია დასაქმებისა და ეროვნული რესურსების გამოყენება. „დამატებითი“ ინვესტიციები უზრუნველყოფს რესურსების

გამოყენებას, რომლებიც სხვა შემთხვევაში დარჩებოდნენ უმოქმედოდ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უცხოელი ინვესტორების მიერ გამოყენებული სამუშაო ძალის ხარისხს. უკანასკნელ დროს, სულ უფრო ფართოდ გავრცელებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც, განვითარებადი ქვეყნის სამუშაო ძალა, რომელიც საერთაშორისო წარმოებაში დასაქმდა, იძენს ახალ ნიშნებს და თვისებებს, რომლებიც საშუალებას აძლევენ წარმატებით გაუწიონ კონკურენცია განვითარებული ქვეყნების სამუშაო ძალას. ასეთ სამუშაო ძალას შეუძლია მოქნილი რეჟიმით მუშაობა, რაც მაღალნაყოფიერია და უფრო თავისუფალია. თავისუფლებაში იგულისხმება ტრადიციული ადგილობრივი იერარქიული სტრუქტურებისაგან თავისუფლება. უცხოური ინვესტორისაგან დაქირავებული მუშაკი განიცდის მხოლოდ კაპიტალის გავლენას, რომელიც სამუშაო ძალასთან ცნობს მხოლოდ ყიდვა-გაყიდვით ურთიერთობას. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული „პირდაპირი“ ეფექტის ძირითად ნაწილს იღებს თვით ინვესტორი, მაგრამ მთელი „არაპირდაპირი“ ეფექტი რჩება ინვესტორების მიმღებ ქვეყანას: ათვისებული საბადოები, თანამედროვე ტექნოლოგიებით მომუშავე სამუშაო ძალა, დაბეგვრის სისტემით მიღებული შემოსავლები, სამომხმარებლო ბაზრის გაჯერება. ამის გარდა თვით მუშაკები არიან დაინტერესებულები უცხოელ ინვესტორებთან მუშაობით, რადგან მათ სანარმოებში უფრო მაღალი ანაზრაურების სიდიდე და სოციალური პირობებია. მიმღები ქვეყნის სტრუქტურულ განვითარებაზე უცხოური კაპიტალის დაბანდების გავლენა დამოკიდებულია მის რეგულირებაზე ქვეყნის მასშტაბით. ცხადია, ინვესტიციური გადაწყვეტილებებისას, პირველ რიგში, ამოირჩევა რეგიონი ან დარგი, რომელებიც უზრუნველყოფენ სტაბილურ და სწრაფ უკუგებას მინიმალური თავდაპირველი დანახარჯის პირობებში. ეკონომიკური თვალსაზრისით, განუვითარებელი რაიონები და დარგები, რომლებიც მოცემულ მომენტში იმყოფებიან არცთუ კარგ მდგომარეობაში, მსხვილი ინვესტორისათვის აღმოჩნდებიან ნაკლებ მიმზიდველები. მაშინ, როდესაც ისინი საჭიროებენ ყველაზე მეტად ინვესტიციურ რესურსებს. უცხოელი ინვესტორის და მიმღები ქვეყნის ინტერესები ინვესტიციების დაბანდების სტრუქტურის განსაზღვრისას, შეიძლება კოორდინირებული და შეთანხმებული იქნას. ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა

დაინტერესებულია პერსპექტიული დარგების განვითარებით. ასეთებია: მომსახურების სფერო, საბანკო და სადაზღვევო საქმე, მაღალი ტექნოლოგიის დარგები. უცხოელი ინვესტორები, თავის მხრივ, დაინტერესებულნი არიან შეაღწიონ ზუსტად ამ დარგებში, რათა უზრუნველყონ მყარი პოზიციები მომავალში და ითვალისწინებენ იმას, რომ შემდგომში დარგებში შეღწევა მოითხოვს უფრო დიდ დანახარჯებს. ქვეყნის ეკონომიკაზე უცხოური ინვესტიციების ასეთი აქტიური გავლენა აისახება საერთაშორისო ურთიერთობების პირობებშიც. უცხოური ინვესტიციების ასეთი გავლენის შეფასება ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ პოზიციებზე რთულია, რადგან ეს გავლენა სხვადასხვა პერიოდში ერთნაირი არ არის. ამიტომ, აუცილებელია იგი შეფასებული იქნეს მოკლე და ხანგრძლივი პერიოდების თვალსაზრისით. ინვესტიციების იმპორტი ქვეყნის სავაჭრო ბალანსზე მოკლე პერიოდში მოქმედებს უარყოფითად, რადგან უცხოური ინვესტიციებით შექმნილი სანარმო აუცილებელი მასალების დიდი ნაწილის იმპორტს ეწევა. ამასთან, ხელს უწყობს რა სასაქონლო ექსპორტის ზრდას ან იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლებას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ის ხელს უწყობს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას. უცხოური ინვესტიციების გავლენა ქვეყნის საგადამხდელო ბალანსზე და მის სტრუქტურაზე სხვადასხვაა. მაგალითად, კაპიტალის იმპორტი აისახება ბალანსის აქტივში და შეიძლება ამ უკანასკნელის გაუმჯობესებას შეუწყოს ხელი. ამასთან, ინვესტიციებს თან სდევს მიღებული მოგების გატანა, რაც აისახება ბალანსის გასავალ ნაწილში. გარდა ამისა, უცხოური ინვესტიციების დაბანდებას თან სდევს მონეობილობის, პატენტების, ლიცენზიების იმპორტი, რაც იწვევს სახსრების ქვეყნიდან გასვლას. უცხოელ ინვესტორებს დიდი თანხები შეაქვთ დაბეგვრის, საბაჟო გადასახადის და სხვა მოსაკრებლების სახით, რაც ხელს უწყობს საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესებას. ინვესტიციების მიმღები ქვეყნის მთავრობა, ქმნის რა უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელ პირობებს, ქმნის მოგების რეინვესტირების შესაძლებლობებს, ამცირებს ქვეყნიდან კაპიტალის გადინებას. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობა დამოკიდებულია მოზიდული ინვესტიციების რაოდენობასა და ხარისხზე და მიმღები ქვეყნის უნარზე დროულად მოახდინოს ინვესტიციების აპრობირება; განათავსოს იგი იმ დარგებში და რეგიონებში, სადაც ისინი უფრო საჭიროა;

უზრუნველყოს პროგრესული ტექნოლოგიების და მენეჯმენტის გამოყენება, რათა კაპიტალის მოზიდვით მიღებული იქნეს მაქსიმალური დადებითი შედეგები. ეროვნული კაპიტალის მუდმივად უკმარისობისა და მსოფლიო ბაზარზე კაპიტალის ნაკლებობის პირობებში, უცხოური ინვესტიციებისადმი დამოკიდებულების განსაზღვრისას მიმღები ქვეყანა დგება შემდეგი პრობლემის წინაშე: როგორ იქნეს მოზიდული ქვეყანაში უცხოური ინვესტიცია; მოზიდული ინვესტიციით მიღებულ იქნეს მაქსიმალური შედეგი, მიღწეულ იქნეს ეროვნული ინტერესების შესაბამისი მიზანი. ბევრი ნეგატიური შედეგის გამოწვევა შეუძლია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სფეროში არაჯანსაღ, არასწორ პოლიტიკას, რაც, რა თქმა უნდა, ლახავს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს. ამიტომ მოცემულ პირობებში საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრა ძალიან ფაქიზი საქმეა, რადგან საბაზრო მექანიზმები ყოველთვის არ მოქმედებენ ჩვენი ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ. აქ საჭიროა მკაცრი კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან, აგრეთვე ინვესტიციებისადმი მხარდაჭერა იმ დარგებსა და რეგიონებში, რომლებთანაც დაკავშირებულია ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები. საჭიროა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მეცნიერულად დასაბუთებული, ანონილი, აქტიური სახელმწიფო პოლიტიკა. ზემოთ მოყვანილი ფორმების დახასიათებიდან გამომდინარეობს, რომ მიმღები მხარისათვის ყველაზე მომგებიანია პირდაპირი ინვესტიციები. ისინი, ერთი მხრივ, მჭიდრო კავშირშია ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებასთან, მონინავე ტექნოლოგიების ამოქმედებასთან და მენეჯმენტისა და მარკეტინგის თანამედროვე მეთოდების ათვისებასთან, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო მათზე არ იღებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვალდებულებებს. ყველაზე არამომგებიანია „სხვა დანარჩენი“ ინვესტიციები. ინვესტიციების მოზიდვისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს უცხოელი ინვესტორებისათვის იმ სამართლებრივი გარანტიების მიცემას, რომლებიც უკავშირდება მათ ხელშეუხებლობას, კაპიტალის დაბანდებას და მოგების და დივიდენდების გადაგზავნას საზღვარგარეთ. ექსპორტიორ ქვეყნებში გარანტიების მიცემის საკითხი დეტალურად აქვს შესწავლილი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას (ეთგო). საგარანტიო სქემები, რომლებიც ერთმანეთისაგან მოცულობით განსხვავდება, განვითარებული მრეწველობის მქონე ყველა ქვეყანაში

არსებობს. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა ცდილობს შექმნას თითქმის ისეთივე გარანტიები, როგორც ეთგო-ს წევრ ქვეყნებს აქვთ. მაგალითად, ეგვიპტეში იმ უცხოელ ინვესტორებს, რომლებსაც მიწა აქვთ მიღებული წარმოების გაფართოებისა და მშენებლობისათვის, მიწის ექსპროპრიაციის შემთხვევაში მიეცემათ მისი ტოლფასი კომპენსაცია. ბრაზილიის კანონმდებლობით ნებადართულია საინვესტიციო კაპიტალის და მოგების შეუფერხებლად რეპატრიაცია. ამასთან, კაპიტალის რეპატრიაცია თავისუფალია საშემოსავლო გადასახადისაგან და ავტომატურად ხორციელდება. ამჟამად სულ უფრო მზარდ ინტერესს იწვევს ჩინეთში, ინდოეთსა და მექსიკაში შემუშავებული უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკა, რადგან, სპეციალისტთა აზრით, სწორედ ეს ქვეყნებია უდიდესი კონკურენტები უცხოური ინვესტიციების ბაზარზე. ჩინეთი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღების ერთერთი ყველაზე უფრო ნათელი მაგალითია. მისი გამოცდილება უნიკალურია, რადგან კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ, ერთი მხრივ, შეინარჩუნა ძველი პოლიტიკური სისტემა და მბრძანებლური მექანიზმები, მეორე მხრივ კი ფართო მასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმები გაატარა. მე-20 საუკუნის 90-იან წლების დასაწყისიდან ჩინეთი მსოფლიოს მეორე უდიდეს რეციპიენტ ქვეყნად გადაიქცა აშშ-ის შემდეგ. ეკონომიკის ზრდის და უცხოური ინვესტიციების მოდინების ტემპებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩინეთი ტოლს არ დაუდებს აშშ-ს საზღვარგარეთიდან მოზიდული კაპიტალ დაბადენდების მოცულობის მხრივ. ჩინეთი თავისი ამ პოლიტიკით კვალში მიჰყვება აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებს - იაპონიას, ტაივანსა და სამხრეთ კორეას, რომლებმაც დიდ წარმატებას მიაღწიეს საკუთარი საწარმოო ბაზის განვითარებაში ერთობლივი საწარმოების შექმნის გზით.

უცხოური, განსაკუთრებით, პირდაპირი ინვესტიციების მოსაზიდად უამრავ წამახალისებელ მოტივს იყენებენ. მათ შორისაა საგადასახადო შეღავათები და არდადეგები, შეღავათიანი საიმპორტო ტარიფები, უცხოური პერსონალის მიღებისა და გათავისუფლების გამარტივებული წესები, შედარებითი ავტონომია მენეჯმენტისათვის. მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხოურ კაპიტალს მოაქვს ახალი

ტექნოლოგიები, მართვის თანამედროვე ხერხები, სხვა ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა და, რაც უფრო მთავარია, თვით ფინანსური სახსრები.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედი მაჩვენებლებია: მაკროეკონომიკური პარამეტრები, ფინანსური მდგომარეობა, ვალეები, კერძო საკუთრება და მათი მომსახურება, საგადასახადო რეჟიმი, პოლიტიკური რისკები და ფორსმაჟორული სიტუაციების შექმნის საშიშროება და გეოპოლიტიკური მდებარეობა. აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო გარემოზე მოქმედ ფაქტორთა შორის ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა ერთადერთია, რომელზედაც სახელმწიფო გავლენას ვერ მოახდენს. იგი ყალიბდება გეოგრაფიული და მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების ზეგავლენით, მაგრამ ხელისუფლებას შეუძლია შესაბამისი პირობების შექმნა რათა უცხოელმა ინვესტორმა ყველა პოტენციური ვარიანტიდან მოცემული ქვეყანა აირჩიოს კაპიტალ დაბანდების განსახორციელებლად. საინვესტიციო გარემო გულისხმობს ქვეყანაში რეალურად არსებულ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ გრძელვადიანი დაბანდებისათვის უცხოური კაპიტალის სულ უფრო მზარდი ოდენობით ინტენსიურ მოზიდვას ან განრიდებას (თავშეკავებას). ე.ი. კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, საინვესტიციო გარემო შეიძლება იყოს ხელსაყრელი (ხელშემწყობი) ისე არახელსაყრელი (ხელშემშლელი), რომელსაც კონკრეტული ნაბიჯების გადადგამდე ყველა ინვესტორი ითვალისწინებს. ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს საფუძვლიანი გაანალიზება და რისკ-ფაქტორების გათვალისწინება ყველა ინვესტორის პირველადი ამოცანაა. შრომითი რესურსების მიმართაც სიტუაცია მარტივი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ დემოგრაფიული მონაცემებით, საქართველოს შრომით ბაზარზე საკმაოდ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალაა, მისი ღირებულება მნიშვნელოვნად დაბალია. ეს გარემოება ქმნის ხელსაყრელ შესაძლებლობებს უცხოელი ინვესტორისათვის. ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაში ზეგავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

1. მაკროეკონომიკური მდგომარეობა (მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი, ინფლაცია, ვალუტის გაცვლითი კურსი);

2. ექსპორტზე ორიენტაციის დონე (წარმოებული პროდუქციის წილი, რომელიც მიდის ექსპორტში);

3. სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები;

ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების ზრდა ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების შემოტანას ქვეყანაში, ზრდის პროდუქტიულობის დონეს და დადებითად აისახება ექსპორტისა და დასაქმების ზრდაზე. მისი შეფასებით, ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების ზრდა მიანიშნებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე, რაც სამომავლოდ ეკონომიკურ ზრდაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კიდევ უფრო პოზიტიურ გავლენას განაპირობებს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან ეკონომიკისათვის მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად ხელისუფლებამ უნდა გაამყაროს ეროვნული ეკონომიკის საფუძვლები, უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, განავითაროს კონკურენცია, თანაბრად გამოიყენოს მარეგულირებელი ნორმები, შექმნას ინფრასტრუქტურა და სამართლებრივი მექანიზმები. საქართველოსთვის მიზანშეწონილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება ისეთ დარგებში, რომლებიც საექსპორტო პროდუქციის ფართომასშტაბიან წარმოებაზე ორიენტირებული და შესაძლებელია ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი მომგებიანი რეალიზაცია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება პრიორიტეტულ დარგებში ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკურ ზრდას. აუცილებელია, სახელმწიფომ შექმნას ისეთი სამართლებრივი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ეკონომიკური სუბიექტის ზრდის თანაბარ შესაძლებლობებს და შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას.

თავი III საგადასახადო პოლიტიკის გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე

3.1. საგადასახადო პოლიტიკასა და ინვესტიციებს შორის კავშირი თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში

ზოგადი მიმოხილვით, საერთაშორისო დაბეგვრა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც სხვადასხვა ქვეყნების იმ საკანონმდებლო მუხლების ერთობლიობა, რომლებიც ეხება საზღვარგარეთული გადარიცხვების დაბეგვრას. ამ კუთხით საერთაშორისო დაბეგვრა დაკავშირებულია:

- პირდაპირ გადასახადებთან (მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი, უძრავი ქონების გადასახადი, ნაჩუქრობის, ქონების (სიმდიდრის) და სოციალური დაზღვევის გადასახადი)
- არაპირდაპირ გადასახადებთან (დღგ, პროდუქციასა და მომსახურებაზე გადასახადები, საბაჟო და გაყიდვის გადასახადები) საერთაშორისო საგადასახადო

ურთიერთობების ზოგადად აღიარებული პრინციპი გულისხმობს ქვეყნის თავისუფლებას დააწესოს გადასახადი მისი არჩევანის შესაბამისად, ამასთან სახელმწიფოს არ შეუძლია თავისი საგადასახადო მოთხოვნები გაავრცელოს სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე. სხვა სიტყვებით ეს ნიშნავს რომ, მისი დაბეგვრის უფლება არ ვრცელდება იმ დაბეგვრის ობიექტებზე, რომლებიც სხვა ქვეყანაში წარმოიშობა. მაგალითად, საფრანგეთს არ შეუძლია დააკისროს გადასახადი იმ გერმანელს, რომლის შემოსავლები მთლიანად წარმოიშობა გერმანიაში. შედეგად, ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობები ეხება იმ სუბიექტებს და ობიექტებს, რომელთაც აქვთ გარკვეული სახის კავშირი ქვეყანასთან. ჩვეულებრივ საგადასახადო კოდექსებიდან განასხვავებს ორი სახის საქმიანობას:

- პირველი ქვეყნის რეზიდენტების საქმიანობა მეორე ქვეყანაში
- არა რეზიდენტების საქმიანობა პირველ ქვეყანაში საერთაშორისო საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების დადებას. კერძოდ⁸:

- საერთო ხასიათის საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც კონკრეტულ საგადასახადო შეთანხმებაში გამოსაყენებელ საგადასახადო დაბეგვრის საყოველთაო პრინციპებს მოიცავს

- მრავალმხრივი და ორმხრივი ხასიათის საგადასახადო შეთანხმებას, რომელშიც შედის:

- საერთო საგადასახადო შეთანხმება (კონვენცია), რომელიც მთლიანად ეთმობა საგადასახადო სფეროში ურთიერთობებს

- საგადასახადო შეთანხმების შემლუდვა (შემოთარგვლა), რომლის მიხედვითაც განისაზღვრება კონკრეტული სახის გადასახადები, გადახდის პირობები გადასახადის გადამხდელები და სხვა.

- საგადასახადო დაბეგვრის საკითხებში ადმინისტრაციული დახმარების აღმოჩენაზე შეთანხმება

⁸ ლ. ბახტაძე, რ. კაკულია, მ. ჩიკვილაძე „საგადასახადოსაქმე“ თბილისი 2007 გვ.430

- სპეციფიკური შეთანხმებები, რომლებიც ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს და ითვალისწინებს მათ გათავისუფლებას გადასახადისგან იმ ქვეყნისმიერ, რომლებშიც იმყოფებიან.

- ხელშეკრულებები, რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად ეხება გადასახადებსაც. მაგალითად, სავაჭრო ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებს საქონლისა და მომსახურების განსაკუთრებულ საგადასახადო რეჟიმებს.

საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკა, რომლის ფორმალიზება საერთაშორისო საგადასახადო სამართალში ხორციელდება, უპირატესად მიზნად ისახავს გლობალური მასშტაბით:

1. აღმოფხვრას ზიანის მომტანი საგადასახადო პრაქტიკა და ხელი შეუწყოს ღია ბაზრებზე დაფუძნებული მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირებას

2. დაიცვას სახელმწიფოთა საგადასახადო ბაზა და მისცეს მათ საშუალება მიიღონ სამართლიანი წილი საერთაშორისო ბიზნეს საქმიანობიდან ძირითადად არსებობს სამი მიზანი, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის მონაწილეობას საერთაშორისო საგადასახადო სამართალში⁹:

1. ეროვნული სიმდიდრის მაქსიმიზაცია: ნებისმიერი საგადასახადო სისტემა მიზანმიმართულია უზრუნველყოს ქვეყნის ბიუჯეტის სათანადო შემოსავლებით, რაც საბოლოოდ გამიზნულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე ზემოქმედებისათვის. საგადასახადო შემოსავლებით ფორმირებული ბიუჯეტი ემსახურება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ზრდას. ეროვნული სიმდიდრის მაქსიმიზაცია ნიშნავს, რომ ქვეყანა ცდილობს მიიღოს სამართლიანი წილი ქვეყნის საზღვრების გადამკვეთი ტრანსაქციებიდან (საერთაშორისო დაბეგვრის კუთხით), რათა გაზარდოს მოქალაქეთა კეთილდღეობა; შეინარჩუნოს და გაზარდოს საგადასახადო ბაზა. საბოლოოდ, საერთაშორისო ტრანსაქციების დაბეგვრა განსაზღვრავს საგადასახადო შემოსავლების განაწილებას ორ ან მეტ ქვეყანას შორის. ეროვნული სიმდიდრის მაქსიმიზაცია ითვალისწინებს ქვეყნების მზაობას გაზარდონ დაწესებულ გადასახადებში საკუთარი

⁹ International Tax Policy and Double tax Treaties, Kevin Holmes, IBFD 2007 Amsterdam p4

წილი. ეროვნული სიმდიდრის მაქსიმიზაციის პრინციპი გაითვალისწინება, როგორც პირადი შემოსავლის მისამართით, რომლებიც მიიღება ინვესტორის მიერ საზღვარგარეთ, ასევე ინვესტორის მთავრობის მიერ დაწესებული გადასახადების მისამართით.

2. დაბეგვრის თანასწორობა და სამართლიანობა გულისხმობს თანაბარი გადასახადების დაწესებას თანაბარი შემოსავლების მქონე ან თანაბარი გადახდისუნარიანობის გადამხდელეებზე. თანასწორობა საჭიროებს თანაბარ განაკვეთიანი გადასახადების დაკისრებას ყველა სახის შემოსავალზე მიუხედავად შემოსავლის წყაროს ტიპისა და შემოსავლის მიღების კანონიერი სტრუქტურისა. ქვეყანას აქვს არჩევანი გამოიყენოს სამართლიანობის პრინციპი მის რეზიდენტებზე (მათი მთლიანი შემოსავლების დაბეგვრით, რომელიც შედგება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლებისაგან), მაგრამ იმავე მიდგომას ვერ გამოიყენებს არარეზიდენტებზე, ვინაიდან სახელმწიფოს არ აქვს შესაძლებლობა დაბეგროს არარეზიდენტების შემოსავლები, რომლებიც წარმოიშობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

3. ეკონომიკური ეფექტიანობა - გულისხმობს კონკურენციის განვითარების ხელშეწყობას ქვეყნის ეკონომიკაში. იდეალურ შემთხვევაში იმ დაშვებით, რომ დაბეგვრას არ აქვს გავლენა ინვესტირების გადაწყვეტილებებზე. ეს ნიშნავს, რომ ინვესტირების შედეგად მიღებული შემოსავალი არ უნდა მცირდებოდეს იმდენად, რაც გამოიწვევდა დიდ სხვაობას დაბეგვრამდე და დაბეგვრის შემდგომ არსებულ შემოსავლებში. ეკონომიკური ეფექტიანობის დაცვისათვის გადასახადის დაკისრება უნდა იყოს ნეიტრალური შიდა და საერთაშორისო ინვესტირების მიმართ. (ინვესტირების ვარიანტების მიმართ). ჩვეულებრივ უცხო ქვეყნის რეზიდენტები იბეგრებიან შემოსავლის იმ ნაწილში, რომელსაც იღებენ ქვეყანაში არსებული წყაროდან. წარმოდგენა იმის შესახებ მიეკუთვნება თუ არა შემოსავალი ქვეყანაში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს ეფუძნება იმ ქვეყნის საგადასახადო კოდექსს, სადაც საქმიანობს ეკონომიკური სუბიექტი. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობების ჩამონათვალი თუ რა მიეკუთვნება ქვეყანაში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს შეიძლება

განსხვავდებოდეს; მაგ. საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალისგან ეკუთვნება:

- დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავალი;
- საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავალი;
- საქართველოში მომსახურების განვითარებით მიღებული შემოსავალი.
- საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, მათ შორის, შემოსავალი, რომელიც მოიცავს საქართველოში ამ არარეზიდენტის მიერ იდენტური (მსგავსი) საქონლის გაყიდვით მიღებულ ამონაგებს; შემოსავალი საქართველოში განეული მომსახურებიდან, რომელიც მუდმივი დაწესებულების მიერ განეული მომსახურების იდენტურია;
- საქართველოში განხორციელებულ ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული უიმედო ვალების ჩამონერის შედეგად ვალდებულებათა
- რეზიდენტი იურიდიული პირისაგან მიღებული დივიდენდები, რეზიდენტი იურიდიული პირის აქციის ან/და იურიდიულ პირში პარტნიორის წილის გაყიდვით მიღებული შემოსავლები;
- რეზიდენტისაგან პროცენტით მიღებული შემოსავალი;
- რეზიდენტის მიერ გადახდილი პენსია;
- საქართველოში მუდმივი დაწესებულების ან ქონების მქონე არარეზიდენტისგან პროცენტით მიღებული შემოსავალი, თუ ამ პირის დავალიანება დაკავშირებულია მის მუდმივ დაწესებულებასთან ან ქონებასთან;
- საქართველოში არსებულ ან გამოყენებულ უფლებებთან ან ქონებასთან დაკავშირებული როიალტის ფორმით მიღებული შემოსავალი;
- საქართველოში გამოყენებული მოძრავი ქონების იჯარიდან/და სხვა სახელშეკრულებო სარგებლობის უფლების გადაცემით მიღებული შემოსავალი;

- საქართველოში არსებული და ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული უძრავი ქონებით მიღებული შემოსავალი, მათ შორის, ასეთ ქონებაში პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;
- იმ საწარმოს აქციების ან პარტნიორის წილის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომლის აქტივების ღირებულების 50 პროცენტზე მეტი პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოიშობა საქართველოში არსებული უძრავი ქონების ღირებულებიდან;
- რეზიდენტის მიერ ქონების რეალიზაციით მიღებული სხვა შემოსავალი, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქართველოს საწარმოდან ან საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულებიდან მართვისათვის, აგრეთვე სადაზღვევო ან/და საფინანსო მომსახურებისათვის (გადაზღვევის მომსახურების ჩათვლით) მიღებული შემოსავალი;
- საქართველოში წარმოშობილი რისკის გადაზღვევის ან დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე სადაზღვევო შენატანების სახით მიღებული შემოსავალი;
- საქართველოსა და უცხო ქვეყნებს შორის საერთაშორისო გადაზიდვებში სატრანსპორტო მომსახურებითან საერთაშორისო კავშირგაბმულობაში ტელესაკომუნიკაციო მომსახურებით მიღებული შემოსავალი;
- საქართველოში საქმიანობით მიღებული სხვა შემოსავალი.

ჩვეულებრივ, შიდა კანონმდებლობა განსაზღვრავს შემოსავლის წყაროს, რომელიც ქვეყანაში მდებარეობს დაიბეგრება ორი გზით: პირველი, უცხოელი ვალდებულია მოახდინოს საგადასახადო შემოსავლების დეკლარირება რეზიდენტების მსგავსად და გადაიხადოს გადასახადი წმინდა შემოსავალზე (ჩვეულებრივ ყოველწლიურად), რომელსაც იღებს ქვეყანაში არსებული წყაროდან. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში გადასახადი წესდება წმინდა შემოსავალზე სხვაობა მთლიან შემოსავალსა და დასაბეგრ მოგებას შორის. მეორე გზაა არარეზიდენტისათვის გადასახადის დაკავება გადახდის

წყაროსთან. წყაროსთან დაკავებადი გადასახადის გადახდა ნიშნავს მის დაკავებას წყაროსთან, გადახდის დროს. პასიური შემოსავლების შემთხვევაში (დივიდენდები, პროცენტები, როიალტი), რომლებიც მიიღება უცხოელების მიერ ქვეყანაში, და ეკისრება წყაროსთან დასაბეგრი გადასახადი. ამ შემთხვევაში შემოსავალი იბეგრება გამოქვითვების გარეშე, ჩვეულებრივ ამ სახის გადასახადების განაკვეთები უფრო დაბალია ვიდრე საშემოსავლო გადასახადების განაკვეთები. არარეზიდენტების წყაროსთან დაკავებულ გადასახადს აქვს შემდეგი უპირატესობები:

- გადასახადის გადამხდელს არ ეკისრება დეკლარირების ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია ყოველწლიური შემოსავლების დეკლარირებასთან

- ხდება გადასახადის წინასწარი აკრეფა მთავრობის მიერ

- ხდება იმის გარანტირება, რომ გადასახადი გადაიხდება მიღებული შემოსავლების იმ ნაწილიდან, რაც იმყოფება ქვეყნის კანონიერი იურისდიქციაში, სხვა შემთხვევაში სუბიექტი ეცდება თავი აარიდოს საგადასახადო ვალდებულებას. ხშირ შემთხვევაში დაბეგვრის ორივე მეთოდი გამოიყენება: შემოსავალი იბეგრება წყაროსთან და გადამხდელს უწევს შემოსავლის დეკლარირება. ასეთი მიდგომის პირობებში წყაროსთან დაკავებადი გადასახადი არ არის საბოლოო გადასახდელი, არამედ წინასწარ გადახდილი გადასახდელია, წლიური საგადასახადო ვალდებულების გამოანგარიშებისათვის. ამგვარი მეთოდი ძირითადად მიესადაგება უცხოურ სამუშაო ძალას და დამოუკიდებელი მომსახურების კონტრაქტების მიმწოდებლებს. ამ საგადასახადო სუბიექტებთან მიმართებაში გამოიყენება პერსონალური გამოქვითვები და/ან შეღავათები. ნათელია, ქვეყანამ უნდა დააწესოს საგადასახადო განაკვეთები იმგვარად (წყაროსთან დასაბეგრი გადასახადის განაკვეთების ჩათვლით), რომ არ მოხდეს უცხოურ ინვესტიციათა დაცემა და ქვეყნის შიდა კაპიტალის დანახარჯების სტრუქტურის დამახინჯება. ეს განსაკუთრებით ეხება პატარა ქვეყნებს, რომლებიც ღიაა უცხოური კაპიტალისთვის და ისინი არიან ფასის მიმღებები მსოფლიო კაპიტალის ბაზრებიდან. გადასახადის დაკისრება ზრდის კაპიტალის დანახარჯს წყარო ქვეყანაში, რაც ნეგატიურ გავლენას იქონიებს მაკროეკონომიკურ შედეგებზე: გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების, დაბალი ინვესტირების, დასაქმებისა და ხელფასების კუთხით.

აქედან გამომდინარე, ცხადია წყარო ქვეყანამ უნდა შეაფასოს გადასახადის დაკისრების ეკონომიკური სარგებლიანობა, რათა მისი დაკისრება არ იყოს იმდენად მაღალი, რომ მან გამოიწვიოს ოპტიმალურზე მეტად კაპიტალის დანახარჯების ზრდა. ამ მიზმის გამო უცხოელი ინვესტორები უნდა დაიბეგრონ მინიმალური განაკვეთებით. (ცხადია, მოცემული ქვეყნისათვის უცხოური ინვესტიციების სოციალური და ეკონომიკური ეფექტის გათვალისწინებით). ქვემოთ განხილულია რეზიდენტ და წყარო ქვეყანას შორის დაბეგვრის უფლებების განაწილების სქემა (ქვეყანაში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლების შემთხვევაში):

- დაბეგვრის პირველი შესაძლებლობა ეძლევა წყარო ქვეყანას (წყაროსთან დაკავება).
- რეზიდენტის ქვეყანაში შემოდის უკვე დაბეგრილი შემოსავალი.
- თუ მხოლოდ წყარო ქვეყანას აქვს დაბეგვრის ექსკლუზიური უფლება რეზიდენტის ქვეყანა თმობს ამ შემოსავალს
- თუ წყარო ქვეყანას აქვს პირველად დაბეგვრის უპირატესი უფლება, ის ამ უფლებას იყენებს შემზღუდულად, რათა დაბეგვრის საშუალება მიეცეს რეზიდენტის ქვეყანასაც.
- რეზიდენტის ქვეყანას აქვს დაბეგვრის უფლება, მაგრამ იმდენად, რომ გადამხდელს ჯამში არ მოუწიოს შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტის გადახდა.

საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის პრინციპები შეიძლება დაყოფილ იქნას ეფექტიანობისა და სამართლიანობის კატეგორიებად. ეფექტიანობა გულისხმობს კაპიტალის ექსპორტისა და კაპიტალის იმპორტის ნეიტრალურობის პრინციპების დაცვას, გადასახადების ადმინისტრირების სიადვილეს; ხოლო სამართლიანობა დაკავშირებულია საგადასახადო შემოსავლების თანაბარ განაწილებასთან ქვეყნებს შორის საერთაშორისო გადარიცხვებიდან; გადასახადის სუბიექტების მიმართ იგი გულისხმობს თანაბარი განაკვეთების დაწესებას შიდა წყაროდან და საზღვარგარეთიდან მიღებულ შემოსავლებზე. ტრადიციულ ანალიზში და განხორციელებულ პრაქტიკულ პოლიტიკაში

უმეტესად ჭარბობს ეფექტიანობის მიზნები ასეთი მიდგომის პირობებში კი შეიძლება ავცდეთ საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის მთავარ მიზანს ქვეყნებს შორის საგადასახადო ბაზის სამართლიან განაწილებას. ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები ძირითადად ემსახურება „გლობალურ კეთილდღეობას“; რიგი ეკონომისტების მიერ წამოყენებულ იქნა ალტერნატიული პრინციპები, რომლებიც უპირატესად „ეროვნულ კეთილდღეობას“ ითვალისწინებენ. კონკრეტულად, კაპიტალის კუთვნილების ნეიტრალურობისა და ეროვნული კუთვნილების ნეიტრალურობის პრინციპებს¹⁰.

3.2. საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის გზები უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით

როგორც უკვე ვიმსჯელებთ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებს უშუალო გავლენა აქვს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინების მოცულობაზე. განსაკუთრებით ეს ეხება იმ ქვეყნებს, რომელთაც არ გააჩნიათ დიდი გასაღების ბაზრები და არ არიან რესურსებით უზრუნველყოფილები. საგადასახადო პოლიტიკის, როგორც ერთ-ერთი ინსტიტუციონალური ფაქტორის, როლის გარკვევისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების პროცესში, განვიხილოთ 2005-2015 წლებში უცხოურ ინვესტიციათა შემოდინების დინამიკა.

2000-იანი წლებიდან გატარებულმა ახალ მაკროეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კურსმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინებაზე. 2006 წლისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების მაჩვენებელმა შეადგინა 1190,4 მილიონ აშშ დოლარი, რომელიც თავის მხრივ 128 პროცენტით მეტი იყო წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან (დიაგრამა 4). ამ წლისათვის პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საერთო ინვესტიციების 47 პროცენტი შეადგინა, ხოლო მშპ-ში მისი წილი 15 პროცენტი იყო. 2005 წელს კი 2006 წლის 47 პროცენტისაგან განსხვავებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი საერთო ინვესტიციებში მხოლოდ 25 პროცენტი იყო. 77 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ტემპი გაგრძელდა 2007 წლისათვის და

¹⁰ Klaus Vogel, World vs source Taxation of income-A Review and Re-evaluation of Arguments (Part III) 1998 Intertax, p-393

მიაღწია მაქსიმალურ მაჩვენებლს 2014,8 მლნ. აშშ დოლარი. ეს მაჩვენებელი იყო 1,96-ჯერ მეტი წინა წელთან შედარებით. ცალკეულ მეცნიერთა მოსაზრებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრი ზრდა განპირობებული იყო საქართველოს ბიზნეს გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით. 78 ძირითად პოლიტიკურ რეფორმებთან ერთად, 2004 წლიდან მოყოლებული მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა საფინანსო - საგადასახადო სფეროში, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის ხარისხი და გააიოლა საგადასახადო დეკლარირება. 2008 წლისათვის არსებულმა ორმაგმა კრიზისმა, საომარმა კონფლიქტმა რუსეთთან და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, მნიშვნელოვნად შეამცირა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები. 2009 წლიდან დაიწყო პროცესის გამოსწორების თაზა და უკვე ამ წლისათვის დაფიქსირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების ზრდა. ასევე ამ წლებისათვის პრობლემას ამწვავებდა თავისუფალი საინვესტიციო რესურსების ხელმისწავდომობა მსოფლიოს ბაზარზე. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად შეაჩერა უცხოური ინვესტიციების შემოდინება არა მარტო საქართველოში, არამედ მთლიანად მსოფლიო ეკონომიკაში. 2001 წლის პირველი კვარტლისათვის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 147 მილიონ აშშ დოლარი, რაც თავის მხრივ აღემატებოდა 2009 და 2010 წლების შესაბამის მაჩვენებლებს 1.5 და 2.3-ჯერ. დიაგრამა მე-4-დან შეგვიძლია დავინახოთ, რომ პუი-ების მაჩვენებელი კლებულობდა 2009 წლიდან ე.ი 658,400.6-დან შემცირებამ 2010 წლისათვის მიაღწია 553,0556.1-მდე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ზრდისათვის საქართველოს მთავრობამ მიიღო სპეციალური კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ, სადაც უცხოური ინვესტიციებით განხორციელებულ ბიზნეს მიეცა სპეციალური შეღავათები, რომელიც თავის მხრივ გულისხმობდა: სტრატეგიულ გეოგრაფიულ მდებარეობას, ლიბერალურ ექსპორტ-იმპორტის პროცედურებს და სხვა გასახადებისაგან გათავისუფლებას. თავისუფალი ინდუსტრიული ზონები შეიქმნა თითქმის ყველა დიდ ქალაქში: ფოთში, ქუთისსა და თბილისში.⁷⁹ როგორც განხილული მონაცემების ანალიზიდან ჩანს, 2000-იანი წლებიდან განხორციელებულმა რადიკალურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, რამაც თავის მხრივ ასახვა

პოვა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების მაჩვენებლების ზრდაზე. მხოლოდ გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად 2008 წლიდან პუი-ების მაჩვენებლებმა დაიწყო კლება, ზრდის პროცესი კი განახლდა 2009 წლიდან. ამ კუთხით თუ გამოვრიცხავთ გარე ფაქტორებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2006 წლიდან გვაქვს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა ზრდის ტენდენცია, რასაც თავის მხრივ ახლდა რეფორმები ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საგადასახადო სფეროებში, რომლებიც დადებითად იქნა შესაფასებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (დანვრილებით იხ. ქვემოთ). როგორც განხილული მონაცემებიდან ჩანს, 2000 წლიდან მოყოლებული სახეზე გვაქვს ერთი მხრივ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა, მეორეს მხრივ კი მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათების შემოღება უცხოელ ინვესტორთათვის. გატარებული ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები აღიარებულ იქნა, როგორც მნიშვნელოვანი მიღწევა რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2004 წლიდან მოყოლებული საქართველოს საგადასახადო სისტემაში ჩატარდა ძირეული რეფორმები. გაცხადებული მიზნების მიხედვით საგადასახადო სფეროში რეფორმების მთავარი მიზანი ბიზნესისა და ინვესტორებისათვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა იყო. ლიბერალური რეფორმების ძირითადი შედეგი დაბეგვრის გამარტივებული პროცედურები და გადასახადების რაოდენობის შემცირება იყო. 2004 წელს არსებული 21 გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 6 სახის გადასახადი. გადასახადების შემცირებას პოტენციური ინვესტორებისათვის აქვს შემდეგ ორმაგი დატვირთვა: პირველ რიგში მცირდება პირდაპირი საგადასახადო ხარჯი, ასევე მცირდება საერთო საგადასახადო და ბუღალტრული დეკლარირების ხარჯები. უცხოურ ინვესტორებთან დაკავშირებით შემოღებულ იქნა სპეციალური საგადასახადო შეღავათები:

✓ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით დამატებითი ღირებულებისა და სოციალური გადასახადების არარსებობა

✓ კაპიტალის დანახარჯები შესაძლებელია გამოქვითულ იქნას ინვესტიციის განხორციელების წელს, ნებადართულია ზარალის გადატანის 10 წლიანი პერიოდის გამოყენება

✓ კაპიტალის შეფასებით მიღებული შემოსავლების დაბეგვრისგან გათავისუფლება

✓ ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება

✓ უცხო წყაროდან მიღებული შემოსავლის დაბეგვრისაგან გათავისუფლება უცხოურ ინვესტიციათა შემოდინების მხარდასაჭერად საქართველოს საგადასახადო კოდექსში შემოღებულ იქნა სპეციალური სტატუსები: საერთაშორისო სანარმო და უცხოური კომპანიის ფილიალი. საინვესტიციო მიზნებისათვის შეიქმნა სპეციალური ეკონომიკური ზონები, სადაც ინვესტორთათვის დაბეგვრა 0 პროცენტის განაკვეთით არსებობს. თუ შევადარებთ იმ საგადასახადო განაკვეთებს, რაც გამოიყენება უცხოური ინვესტიციების განმხორციელებელი და რეზიდენტი კომპანიების მიმართ, მკაფიო ხდება, რომ უცხოური ინვესტიციების განმხორციელებელი კომპანიების მიმართ მიდგომა საკმაოდ ლიბერალურია შემოსავლებისა და მოგების დაბეგვრის კუთხით.

როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნების საგადასახადო კოდექსები ძირითადად განასხვავებენ ორი სახის საქმიანობას:

- მოცემული ქვეყნის რეზიდენტების საქმიანობა
- მოცემულ ქვეყანაში არარეზიდენტების საქმიანობა

რეზიდენტების ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მოგების დაბეგვრა ეფუძნება წმინდა მოგებას - მთლიანი შემოსავლებიდან გამოქვითვების გამოკლებას. ჩვეულებრივ, გამოქვითვები განისაზღვრება კონკრეტული ქვეყნის საგადასახადო კოდექსით, ხოლო არარეზიდენტების შემთხვევაში მოგების დაბეგვრა დამოკიდებულია მუდმივი დაწესებულების არსებობაზე; ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში დაბეგვრის ბაზა უშუალოდ მუდმივი დაწესებულების შემოსავლებიდან განისაზღვრება; საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის კუთხით მნიშვნელოვანია აღკვეთილ იქნას: მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ფასის მიერი მანიპულირება საგადასახადო ბაზის შემცირების

მიზნით; კორპორაციების ჯგუფის კომპანიებს შორის ხელოვნური ტრანსფერული ფასებით ურთიერთანგარიშსწორება გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით. ამ მხრივ, საქართველოს მიერ რატიფიცირებული შემოსვლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებები უცხოელ ინვესტორებს საკმაოდ ფართო შეღავათებს სთავაზობს, როგორც საგადასახადო განაკვეთების, ასევე საგადასახადო ბაზისგან საზღვრის თვალსაზრისით.

ბიზნესის კეთების ინდექსი აერთიანებს ორი ტიპის ინდიკატორებს: 1. ინდიკატორები, რომლებიც უკავშირდება ბიზნესთან დაკავშირებული სამართლებრივი ინსტიტუტების სიძლიერეს 2. ინდიკატორები, რომლებიც უკავშირდება რეგულირების პროცესის კომპლექსურობას და დანახარჯებს. პირველი ჯგუფი ასახავს შემდეგი საკითხების სამართლებრივ დარეგულირების პრაქტიკას: ინვესტორთა დაცვა, კონტაქტების აღსრულება, კრედიტების მიღება და გაკოტრების საქმეთა მართვა. ხოლო მეორე ტიპის ინდიკატორები, ასახავს დანახარჯებსა და ეფექტიანობას შემდეგი საკითხების მიმართ: ქონების რეგისტრაცია, მშენებლობის ნებართვები, ბიზნესის დანყება, ელექტროენერჯის მიწოდება (ქსელში ჩართვა), საერთაშორისო ვაჭრობა და გადასახადების გადახდა. ინდექსი ასახავს შემდეგ 10 ძირითად სფეროს:

- ბიზნესის დანყება • საკუთრების რეგისტრაცია • ელექტროენერჯის მიწოდება (ქსელში ჩართვა) • მშენებლობის ნებართვები • ინვესტორთა დაცვა • კრედიტის მიღება • გადასახადების გადახდა • საერთაშორისო ვაჭრობა • კონტრაქტების აღსრულება • გაკოტრების მართვა.

მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2012-2013 წლებისათვის მოიცავს მსოფლიოს 144 ქვეყანას. მონაცემთა წყაროს, ნახსენები კომპონენტების შეფასებისათვის, წარმოადგენენ მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ასევე კონკრეტული სახელმწიფოების სტატისტიკური სამსახურების შესაბამისი მონაცემები. მონაცემთა მნიშვნელოვანი წყაროა ასევე ტოპ-მენეჯრეთა და კომპანიის მმართველთა გამოკითხვა - „Executive Opinion Survey“. ამ უკანასკნელს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ცალკე პუბლიკაციის სახითაც აქვეყნებს. კვლევის მიხედვით მსოფლიოს 144 ქვეყანას შორის საქართველო 2012-2013 წლებისათვის 77-ე ადგილზეა. ამ მაჩვენებლით საქართველომ

გაიუმჯობესა წინა წლის შედეგი და 88-ე ადგილიდან 11 პუნქტით წინ წაიწია. საქართველოს კონკურენტუნარიანობის ქულამ 2012-2013 4,07 შეადგინა, წინა წლისათვის კი იგივე მაჩვენებელი 3.95 იყო. რეიტინგის მიხედვით ასევე მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა საქართველოს მისამართით საქართველომ ეკონომიკების სხვა კატეგორიაში გადაინაცვლა. კონკრეტულად, საქართველო ერთიანდება ეფექტიანი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯგუფში. საერთო ჯამში კვლევის თანახმად, საქართველომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რეიტინგი თექვსმეტი საფეხურით გაიუმჯობესა. უკვე 2015-2016 წლებისათვის, საქართველო კიდევ უფრო დაწინაურდა და ქვეყანათა მსოფლიო რეიტინგში 66-ე ადგილი დაიკავა¹¹.

უცხოელი ინვესტორების მხრიდან ქვეყნის ინსტიტუციური გარემოს შეფასების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია საერთაშორისო გამჭვირვალობის (TI) გლობალური კორუფციის ბარომეტრი. აღნიშნული კვლევა მსოფლიოში საზოგადოების აზრის კვლევაა, რომელიც ზომავს კორუფციის შესახებ დამოკიდებულებებსა და გამოცდილებას. ისევე როგორც სხვა საერთაშორისო საზოგადოების აზრის გამოკვლევა, ბარომეტრი გვთავაზობს ინდიკატორს, თუ როგორ აღიქმება კორუფცია ეროვნულ დონეზე და როგორ განიხილება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. იგი ასევე ზომავს მოსახლეობის მიერ კორუფციასთან უშუალო შეხების გამოცდილებას ბოლო წლის განმავლობაში. საჯარო პოლიტიკის განმსაზღვრელებსა და მკვლევარებს შეუძლიათ ბარომეტრის გამოყენება საზოგადოების მიერ საჯარო დაწესებულებებისა და სერვისების კორუმპირებულობის აღქმის დონის გასარკვევად, ისევე როგორც მექრთამეობის ფორმისა და სიხშირის გასაანალიზებლად. ქვეყნის დონეზე, ბარომეტრი შეიცავს ინფორმაციას, რომელიც სასარგებლოა პოლიტიკის რეფორმისთვის და შემდგომი კვლევების დაგეგმვისთვის იმ სფეროებში, რომელიც კორუმპირებულად არის მიჩნეული. კორუფციის გლობალური ბარომეტრი 2003 წლიდან ყოველწლიურად ტარდება. ამიტომ იგი წლების მიხედვით ქვეყნების მონაცემების შედარების საშუალებას იძლევა. იგი სამი ძირითადი მიმართულების ტენდენციის დადგენისთვისაა გამომწვეული:

¹¹ The Global Competitiveness Report 2015–2016, World Economic Forum:
http://www3.weforum.org/docs/gcr/20152016/Global_Competitiveness_Report_2015-2016.pdf

1. ინსტიტუციები, რომლებიც აღქმულია ყველაზე კორუმპირებულად.
2. სახელმწიფოს ანტიკორუფციული რეფორმის შეფასება.
3. იმ მოქალაქეთა პროცენტული მონაცემი სდადგენა, რომლებმაც ქრთამი მისცეს გარკვეული სერვისის სანაცვლოდ.

მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში ინვესტიციებისა და ვაჭრობისაგან მიღებული შემოსავლები საშემოსავლო და მოგების გადასახადებით დაბეგვრის ობიექტია. ამ შემოსავლების დაბეგვრის თავისებურებები დამოკიდებულია თითოეული ქვეყნის როგორც შიდა საგადასახადო კანონმდებლობაზე, ასევე ქვეყნის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო დაბეგვრის ხელშეკრულებებზე. სხვადასხვა ქვეყნებში სანარმოთა საქმიანობის გეოგრაფიული არეალების გაფართოება იწვევს ამ სანარმოთა განსხვავებულ დაბეგვრის რეჟიმებში მოქცევას. დაბეგვრის სხვადასხვა რეჟიმებს, კაპიტალის ერთიანობის პირობებში, აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა მრავალეროვნულ სანარმოთა საბოლოო ფინანსურ შედეგებზე, ხოლო მსოფლიო ეკონომიკის თვალსაზრისით ისინი ზემოქმედებენ ინვესტიციების ამა თუ იმ ქვეყანაში განთავსების გადაწყვეტილებებზე. ამ პროცესების შედეგად ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობები სულ უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებულები არიან. სხვადასხვა ქვეყნებში საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს პოლიტიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და კულტურული ფაქტორები. ქვეყნის შიდა საქმიანობასა და საერთაშორისო ტრანზაქციებზე გადასახადის დაკისრებისას მთავრობა ეყრდნობა მის მიერ არჩეულ რაციონალურ პრინციპს. მკაფიოა, საბაზისო რაციონალური პრინციპი გამომდინარეობს თვით მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკიდან. ასე რომ, ქვეყანამ უნდა დააწესოს საგადასახადო განაკვეთები ისე, რომ არ მოხდეს უცხოურ ინვესტიციების შემცირება და ქვეყანაში კაპიტალის სტრუქტურაში დანახარჯების ზრდა. გადასახადის დაკისრება ზრდის კაპიტალის დანახარჯს, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ შედეგებზე გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების, დაბალი ინვესტირების, დასაქმებისა და ხელფასების კუთხით. აქედან გამომდინარე, ცხადია უნდა შეფასდეს გადასახადის დაკისრების ეკონომიკური ეფექტიანობა, რადგან არ იყოს იმდენად მაღალი, რომ მან გამოიწვიოს კაპიტალის დანახარჯების ზრდა. სწორედ

ამიტომ, უცხოელი ინვესტორები უნდა დაიბეგრონ მინიმალური განაკვეთებით, უცხოური ინვესტიციების სოციალური და ეკონომიკური ეფექტის გათვალისწინებით. გლობალიზაციის მზარდი მასშტაბების გამო, საერთაშორისო ბიზნესისა და საერთაშორისო ინვესტირების პროცესებში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა დაბეგვრის საკითხებმა შესაფერისი საგადასახადო ინსტრუმენტების დანერგვამ, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდებოდა მთავრობების მიერ ოპტიმალური საგადასახადო შემოსავლების მობილიზაცია. საგადასახადო პრობლემატიკა განსაკუთრებით დაკავშირებულია იმ შემთხვევებთან, როდესაც სუბიექტი განლაგებულია ერთ ქვეყანაში, ხოლო შემოსავლის წყარო მეორე ქვეყანაშია. საგადასახადო ორგანოები საჭიროებენ ჩამოყალიბებულ საგადასახადო პოლიტიკას, იმის განსასაზღვრად, თუ როგორ დაბეგრონ შემოსავლები, რომლებიც მიღებულია მათ ქვეყანაში არსებული წყაროდან. საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ცალკეული ქვეყნის მახასიათებლებზე: არის კაპიტალის წმინდა იმპორტიორი (ე.ი. დამოკიდებულია უცხოურ ინვესტიციებზე, უცხოური ინვესტიციების ოდენობა აჭარბებს ადგილობრივს) ან არის კაპიტალის წმინდა ექსპორტიორი (ე.ი. მოცემული ქვეყნის კერძო სექტორი, მთავრობა და საოჯახო მეურნეობები ახდენენ საზღვარგარეთ ინვესტირებას და ამ ინვესტირების მოცულობა აჭარბებს ქვეყნის შიდა ინვესტირების მოცულობას, რომელიც ხორციელდება უცხოელების მიერ). აღნიშნული განაპირობებს ქვეყნებს შორის თანამშრომლობას დაბეგვრის სფეროში, რომლის ძირითადი მიზნებია:

- ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება;
- სახელმწიფო კონტროლი გადასახადების თავის არიდებაზე;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვა არარეზიდენტების შემოსავლების არადისკრიმინაციული დაბეგვრის გზით.

საერთაშორისო სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობებში საგადასახადო საკითხების დროის ზრდა ნათლად ჩანს საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმების რიცხვის ზრდაშიც.

რატიფიცირებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების (DTA) ოდენობის ზრდა დაიწყო 1960-იანი წლებიდან, ხოლო მათი ოდენობის მკვეთრ ზრდას ადგილი ჰქონდა 1990-იანი წლებიდან. 2018 წლისათვის მთლიანად მსოფლიოში ხელმოწერილია დაახლოებით 3000 ორმაგი დაბეგვრის.

თავდაპირველად ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების ქვეყნებს შორის, რადგან ეს ქვეყნები ტრადიციულად გვევლინებოდნენ, როგორც კაპიტალი საექსპორტო, ასევე იმპორტიორ ქვეყნებად და შესაბამისად, მათთვის მწვა მქონე ქვეყნები თანდათან უცხოური ინვესტიციის რეციპიენტი ქვეყნების რიგში გადავიდნენ, შესაბამისად მათაც აქტიურად დაიწყეს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების რატიფიცირება. ეს ქვეყნები აფორმებდნენ ხელშეკრულებებს ვედიდგა ინვესტიციების ორმაგი დაბეგვრის საკითხები. 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, ე.წ. ახალი ბაზრების ეკონომიკების როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებთან.¹²

მთავარი მიზანი, რის გამოც განვითარებადი ქვეყნები აფორმებენ DTA-ს არის ინვესტორების მოზიდვა. თუმცა, ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები ინვესტიციების მოზიდვის ძირითადი ბერკეტი ვერ იქნება. ეს შეიძლება იყოს მხოლოდ დამხმარე ფაქტორი სხვა ძირითად ფაქტორებთან ერთად. ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ხელმოწერით ქვეყანა ინვესტორს აძლევს შესაძლებლობას თავიდან აიცილოს ერთიდაიგივე გადასახადით დაბეგვრა ორ ან მეტ ქვეყანაში. ამით ქვეყანა ინვესტორს აჩვენებს, რომ საერთაშორისო საგადასახადო სტანდარტებით მუშაობს და უგზავნის პოზიტიურ სიგნალს, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას მან შესაძლოა გაითვალისწინოს. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ DTA-ს ხელმოწერა ინვესტორისთვის არ არის საკმარისი პირობა, რომ ქვეყანა შეათვასოს როგორც ინვესტირებისთვის ხელსაყრელი გადასახადების კუთხით. ამ მხრივ, ასევე მნიშველოვანია გამჭვირვალე,

¹² [Quak, H. Timmis, Double Taxation Agreements and Developing Countries, Institute of Development Studies, 2018

არადისკრიმინირებადი და პროგნოზირებადი კანონმდებლობა. ამ ორის კომბინაცია შესაძლებელია იყოს წამახალისებელი ფაქტორი ინვესტორისთვის¹³.

2005 წლიდან სახეზე გვაქვს, ერთიმხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა, მეორე მხრივ, კი, მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათების შემოღება უცხოელი ინვესტორებისათვის. გატარებული ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები აღიარებულ იქნა, როგორც მნიშვნელოვანი მიღწევა რიგი საერთაშორისო რგანიზაციების მიერ. 2004 წლიდან საქართველოს საგადასახადო სისტემაში ძირეული რეფორმები გატარდა. გაცხადებული მიზნების მიხედვით, საგადასახადო სფეროში რეფორმების მთავარი მიზანი ბიზნესისა და ინვესტორებისათვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა იყო. ლიბერალური რეფორმების ძირითადი შედეგი დაბეგვრის გამარტივებული პროცედურები და გადასახადების რაოდენობის შემცირება იყო. საგადასახადო სისტემაში გატარდა რიგი რეფორმებისა, კერძოდ:

1. გაუქმდა სოციალური გადასახადი და შეიქმნა ერთიანი „საშემოსავლო გადასახადი“ 25%-ის ოდენობით, რომელმაც ერთი წლის შემდგომ 20%-მდე დაიწია;
2. შემცირდა მოგების გადასახადი 20%-დან-15% -მდე;
3. განახევრდა გადასახადის განაკვეთი დივიდენდებსა და პროცენტებზე 10%-დან 5%-მდე;
4. გაუქმდა საიმპორტო ტარიფების რაოდენობა პროდუქციის 90%-ზე და 16 სხვადასხვა სახის ტარიფიდან მხოლოდ 3 დარჩა (0%; 5%;12%);
5. მოიხსნა საბაჟო გადასახადის მხოლოდ გარკვეული სახის სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო პროდუქციაზე შენარჩუნდა;
6. საქართველოში იმპორტსა და ექსპორტზე ქვოტები არ მოქმედებს¹⁴.

¹³A.Blonigen, L.Oldenski, N. Sly, Separating the Opposing Effects of Bilateral Tax Treaties, NBER Working Paper 1 7480. National Bureau of Economic Research Inc, 2011

¹⁴საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“, №5280-რს, თბილისი, 2007

გადასახადების შემცირება სპოტენციური ინვესტორებისათვის აქვს ორმაგი დატვირთვა: პირველ რიგში, მცირდება პირდაპირი საგადასახადო ხარჯი, აგრეთვე მცირდება საერთო საგადასახადო და ბუღალტრული დეკლარირების ხარჯები. საგადასახადო ტვირთის შემცირებითა და გადასახადების ადმინისტრირების გამარტივების გზით, საქართველოში ბიზნესის კეთება გამარტივდა. აღსანიშნავია განსაკუთრებული დაბეგვრის რეჟიმის შემოღება მიკრო და მცირე ბიზნესისათვის: მიკრობიზნესი - მიკრობიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30000-ლარს¹⁵. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს¹⁶;

მცირე ბიზნესი - მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მენარმე ფიზიკურ პირს, რომლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 500 000 ლარს. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1%-ით¹⁷.

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა მისმა ერთობლივმა შემოსავალმა 500 000 ლარს გადააჭარბა. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ამ ნაწილის მიხედვით დადგენილი განაკვეთით იბეგრება შესაბამისი თვის (ერთობლივი შემოსავლის 500000-ლარიანი ზღვრის გადაჭარბების დაფიქსირებისთვის) დასაწყისიდან კალენდარული წლის დასრულებამდე¹⁸;

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას¹⁹.

¹⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თავი XII, მუხლი 84-ე, პუნქტი 1-ელი, თბილისი, 2010

¹⁶ 31 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თავი XII, მუხლი 86-ე, თბილისი, 2010

¹⁷ 32 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თავი XII, მუხლი 90-ე, პუნქტი 1-ელი, თბილისი, 2010

¹⁸ 33 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თავი XII, მუხლი 90-ე, პუნქტიმე-2, თბილისი, 2010

¹⁹ [34 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თავი XII, მუხლი 95-ე, პუნქტი 1-ელი, თბილისი, 2010

ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის სახეების მიხედვით შეიძლება იყოს: დაბეგვრის ობიექტზე – 1 ლარიდან 2000 ლარის ფარგლებში; დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3 - პროცენტი²⁰.

წარმატებული გამოდგა რეფორმა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობაში, რომელმაც საბაჟო პროცედურები მნიშვნელოვნად გაამარტივა, კერძოდ: 2007 წელს მიღებულმა კოდექსმა ადრე არსებული 16 სხვადასხვა ტიპის საბაჟო ტარიფი 3-მდე დაიყვანა;

1. პროდუქციის დაახლოებით 90%-ზე და საბაჟო პროცედურები და მნიშვნელოვნად შემცირდა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული დანახარჯების ოდენობა; საიმპორტო ტარიფების რაოდენობა გაუქმდა;

2. გამარტივდა საბაჟო პროცედურები და მნიშვნელოვნად შემცირდა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული დანახარჯების ოდენობა;

3. მოიხსნა რაოდენობრივი შეზღუდვები (კვოტები) როგორც იმპორტზე, ასევე - ექსპორტზე;

4. გაიხსნა უახლესი აპარატურით აღჭურვილი, მსოფლიო სტანდარტების საბაჟო ტერმინალები. ბოლო დროს, უფრო და უფრო ლიბერალური ხდება როგორც კანონმდებლობა, ასევე უშუალოდ საგადასახადო ორგანოების მიდგომები დაბეგვრისა და გადასახადის ადმინისტრირების საკითხებზე. უკანასკნელი ცვლილებებიდან უარესად მნიშვნელოვანი იყო მოგების გადასახადის რეფორმა, ე.წ. ესტონურ მოდელზე გადასვლა. უცხოური ინვესტიციების მიმართ არსებული საგადასახადო პოლიტიკა ასევე აღბეჭდილია რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში: „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ბ“. ამ ხელშეკრულებების მთავარი მიზანია: ინვესტორთათვის გარკვეული სახის გარანტიების შეთავაზება, ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვის გზით საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილების ხელშეწყობა. საქართველოს აღნიშნული ხელშეკრულება რატიფიცირებული აქვს ყველა ძირითად

²⁰ 35 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თავი XII, მუხლი 95-ე, პუნქტიმე-3, თბილისი, 2010

ინვესტორ და სავაჭრო პარტნიორ ქვეყნასთან (55 ქვეყანა)²¹. ამ კონვენციების მიხედვით, ინვესტორს აქვს იმის გარანტია, რომ ის არ მოექცევა ორმაგი დაბეგვრის ქვეშ იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებთანაც საქართველოს რატიფიცირებული აქვს აღნიშნული ხელშეკრულებები. საგადასახადო ტვირთიდან გამომდინარე, ინვესტორმა შესაძლებელია განსაზღვროს ინვესტირებისათვის სასურველი ქვეყანა. ეს ხელშეკრულებები უცხოელ ინვესტორებს ფაქტობრივად სთავაზობენ უფრო დაბალი განაკვეთებით დაბეგვრას დივიდენდისა და საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების ჩათვლით. საგადასახადო განაკვეთები და გამოქვითვები იცვლება კონკრეტულ ქვეყნასთან მიმართებაში, თუმცა საქართველოს მიდგომა ამ მხრივ, საკმაოდ ლიბერალურია და იგი უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვისკენაა მიმართული. საქართველოს მიერ რატიფიცირებული შემოსვლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებები უცხოელ ინვესტორებს საკმაოდ ფართო შეღავათებს სთავაზობს, როგორც საგადასახადო განაკვეთების, ასევე, საგადასახადო ბაზის განსაზღვრის თვალსაზრისით. აღნიშნული რეფორმები და ცვლილებები საქართველოს საგადასახადო სფეროში აღიარებულ იქნა როგორც დადებითი შედეგის მომტანი და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მნიშვნელოვანი მიღწევა. აღნიშნული დასკვნა ასახულ იქნა არაერთ საერთაშორისო კვლევასა და რეიტინგში. მსოფლიო ბანკის პროექტი “Doing Business” უკვე წლებია მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობას აფასებს ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს არსებობის თვალსაზრისით. ბიზნესის კეთების ინდექსი აერთიანებს ორი ტიპის ინდიკატორებს: 1. ინდიკატორები, რომლებიც უკავშირდება ბიზნესთან დაკავშირებული სამართლებრივი ინსტიტუტების სიძლიერეს; 2. ინდიკატორები, რომლებიც უკავშირდება რეგულირების პროცესის კომპლექსურობას და დანახარჯებს. შეფასება ხდება ათი პარამეტრის მიხედვით ცალ-ცალკე და საბოლოოდ, როგორც კრებითი შედეგი ღვება ამა თუ იმ ქვეყნის რეიტინგი ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით. 2019 წლის მოხსენებაში საქართველო დახასიათებულია, როგორც ღია ქვეყანა უცხოური ინვესტიციებისთვის²².

²¹ [საქართველოს ფინანსთა მინისტრო: <https://www.mof.ge/>]

²² [Doing business in Georgia 2019 Commercial guide for investors <http://www.doingbusiness.org/>]

დასკვნა - რეკომენდაციები

მცირე ეკონომიკის ქვეყნებში, როგორც საქართველოა, ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკისათვის გადამწყვეტ როლს თამაშობს ეკონომიკურ ზრდაში და მისი როლი განუწყვეტლივ იზრდება. საერთაშორისო ინვესტიციათა მოზიდვისათვის არსებით როლს თამაშობს ჩვენი ქვეყნის მიერ უცხოელ ინვესტორებისათვის შეთავაზებული საინვესტიციო გარემო. ამ კუთხით ნიშანდობლივია საგადასახადო საკითხები, განსაკუთრებით, საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკისა და დაბეგვრის სფეროში. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული სხვადასხვა მოდელის ანალიზმა დაგვანახა, რომ პატარა ქვეყნების შემთხვევაში ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა გაცილებით დიდ როლს თამაშობს იმ ქვეყნებთან შედარებით, რომელთაც საკმაოდ დიდი შიდა ბაზარი, განვითარებული ინსტიტუციური გარემო და ბუნებრივი რესურსები გააჩნიათ;

- აქტიური ინვესტირება ბიზნესში მყარ წინაპირობას აყალიბებს ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის და მიზანმიმართული და მყარი ეკონომიკური ზრდისათვის;
- რეალური ბიზნეს-გეგმის შემუშავება საშუალებას აძლევს ეკონომიკურ სუბიექტებს შეაფასოს საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობა და განსაზღვროს მისი განვითარების პერსპექტივები. სწორად შედგენილი ბიზნეს-გეგმა ეკონომიკური სუბიექტებისათვის არის ფინანსური სახსრების მოზიდვის საიმედო ინსტრუმენტი, ხოლო ინვესტორებისათვის - კაპიტალის სარწმუნო და მომგებიანი დაბანდების გარანტია;
- უცხოური ინვესტიციების შედეგიანობის მისაღწევად აუცილებელია ინვესტორმა წინასწარ განჭვრიტოს შიდა და გარე რისკების მასშტაბები, რომელიც უნდა შეაფასოს და მართოს თანმიმდევრულად და შეთანხმებულად;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობ არგუმენტებს შეიძლება გამოვყოთ: საბაჟო სექტორის რეფორმა, ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა ლიცენზირებისა და ნებართვების სისტემის გამარტივება, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ჩამოყალიბება და ჩვენი ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნებთან დადებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელისშემშლელ არგუმენტებად შეიძლება ჩავთვალოთ პრივატიზაციის პროცესში არსებული ხარვეზები, შრომის კოდექსის ზოგიერთი გაურკვეველი და დისკრიმინაციული მუხლები, მაღალი საბანკო საპროცენტო განაკვეთები, კაპიტალის ბაზრის სისუსტე და მისი დაბალი ტემპით განვითარება, საფონდო ბირჟის განუვითარებლობა, სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიციურობა, სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი, პოლიტიკური არასტაბილურობა, ინფლაციის ზრდის ტემპები, ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა, რეგიონში შექმნილი დაძაბული საომარი ვითარება და სხვა.;
- საქართველოს ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმართული უნდა იყოს უპირველესად ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. ამისათვის მიზანშეწონილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართვა ექსპორტზე ორიენტირებულ ეკონომიკურ სუბიექტებში, ინოვაციურ პროექტებში და ა.შ. სასურველია,

წინა წლებში შემოსული ინვესტორებისათვის რეინვესტიციის განსახორციელებლად შესაბამისი პირობების შექმნა და ხელის შეწყობა;

- საქართველოს რეგიონების ინვესტიციური პოტენციალის ამაღლება, ბევრად არის დამოკიდებული ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის მუშაობის სტილზე, მათი გადაწყვეტილებების ხარისხზე, მმართველობით საქმიანობაში მენეჯმენტის თანამედროვე აღიარებული პრინციპების ინტეგრირებაზე და ა.შ. სასურველია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების საქმიანობა გასაგები და მისაღები იყოს როგორც ადგილობრივი საზოგადოებისათვის, ისე ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებისათვის;

- მთლიანად საქართველოსა თუ რომელიმე რეგიონის ინვესტიციური პოტენციალის ზრდა არ უნდა იყოს მხოლოდ უცხოურ ინვესტორზე დამოკიდებული. საკმაოდ მნიშვნელოვანია შესაბამისი პირობების შექმნა ეროვნული ინვესტიციური პოტენციალის ადგილზე რეალიზაციისათვის;

- საწარმოების ეფექტიანობა საგრძნობლადაა დამოკიდებული კაპიტალის ეფექტურ დაბანდებასთან მაღალკვალიფიციური პერსონალის მომზადებაში. ამ კუთხით განეული ეკონომია გულისხმობს საზოგადოების ეფექტიანობის სერიოზულად დაქვეითებას და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გართულებას. ინოვაციური განვითარების, მენეჯერების ინტეგრირების, წარმოებისა და მომსახურების ხარისხის მხრივ, ჩვენ საკმაოდ ჩამოვრჩებით განვითარებულ ქვეყნებს თანამედროვე ტექნოლოგიების, მენეჯმენტის ხარისხის და თანამშრომელთა მოტივირებულობის დონით. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტული უპირატესობების ფორმირებისათვის აუცილებელია უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა, ძლიერი მატერიალურ და მორალურ მოტივაციაზე ზრუნვა, ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგში კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ამ მიზნების მიღწევის სირთულე ძირითადად განპირობებულია მათი გადაწყვეტისათვის ჩვენეული მენეჯმენტის არასაკმარისი დონით, წარმოების მეცნიერებასთან სუსტი კავშირით, არაოპტიმალური ინვესტიციებით ადამიანურ რესურსებში, განსაკუთრებით - კომპეტენციების ამაღლებაში, უახლეს ტექნოლოგიების დანერგვაში, ინფრასტრუქტურის განვითარებაში;

- უცხოური კაპიტალით ჩამოყალიბებული კომპანიები ბაზრის ძლიერი მოთამაშეები არიან და უპირატესად სწორედ ისინი წარმოადგენენ საქართველოს ეკონომიკური აქტიურობის ძირითად მხარეს. ცალკე აღსანიშნავია ქართულ-უცხოური ერთობლივი საწარმოების წილი მთლიან ექსპორტში, რომელიც მთლიანი საქონელბრუნვის ნახევარს შეადგენს და მიგვითითებს, რომ ქართული წარმოების პროდუქციის ექსპორტი უპირატესად უცხოური ინვესტიციების ხარჯზე ვითარდება;

- ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციები ხშირად იწვევს შრომის ბაზრის ცვლილებას, რაც განპირობებულია ახალ პროფესიებზე მოთხოვნის სურვილით, რის საფუძველზეც აუცილებელი ხდება პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანა და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების შემუშავება. შრომის ბაზარზე გავლენას ახდენს ინვესტიციების დარგობრივი სტრუქტურა, რის გამოც იცვლება მოთხოვნა სამუშაო ძალის პარამეტრებზე, სპეციალობასა და კვალიფიკაციაზე;

- საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში საშუალო თვიური ხელფასი იზრდება იმ სფეროებში დასაქმებული ადამიანებისათვის, რომელ დარგებსა თუ სფეროებშიც იზრდება ინვესტიციები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ინვესტიციების ზრდა გარდა დასაქმების ზრდისა, ასევე აუმჯობესებს დასაქმებული ადამიანებისათვის საშუალო თვიური ხელფასის ზრდასაც;

- ადგილობრივი, თუ უცხოური ინვესტიციების დამატებითი წახალისება და სტიმულირება ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან უნდა მოხდეს იმ დარგებსა თუ სფეროებში ინვესტირებისას, რომელიც პრიორიტეტულია ქვეყნისათვის;

- უცხოელი პარტნიორებისათვის საგადასახადო, ფინანსური თუ სხვა შეღავათები საქართველოს ეკონომიკაზე გარკვეულ პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს. თუმცა, მიუხედავად ამისა, საქართველოში, უცხოური ინვესტიციების სტიმულირების პროცესში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს არა რომელიმე ცალკეულ მასტიმულირებელ ფორმას, არამედ ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირებას, რომელიც მრავალ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ა.შ. ფაქტორებზეა დამოკიდებული;

- გლობალური ეკონომიკის პირობებში, მსოფლიოში, უცხოური ინვესტიციების გამოყენების სხვადასხვა მეთოდი და ფორმა არსებობს. უცხოეთიდან მოზიდული კაპიტალი გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებულ კონკურენციის პირობებზე. ამიტომ ქვეყანას უნდა ჰქონდეს ინვესტიციების გამოყენების დამოუკიდებელი სტრატეგია, წინასწარ გათვლილი უნდა იყოს, თუ რა გავლენას მოახდენს მოზიდული ინვესტიციები ეროვნულ ეკონომიკაზე, მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე და ა.შ.;

- კვლევები გვიჩვენებს, რომ რაც უფრო თავისუფალია ქვეყნის ეკონომიკა, მით მეტი შანსი არსებობს, რომ უცხოური კაპიტალი შემოვა: სიხისტე და მკაცრი კანონები ამ პროცესს აფერხებს. ამავე დროს, აუცილებელია ქვეყანაში გამართულად ფუნქციონირებდნენ ისეთი ინსტიტუტები, რომელიც ხელს შეუწყობს უცხოური კაპიტალის შემოდინებას და მათ პროგრესულ ზრდას;

- ქმედითი საინვესტიციო პოლიტიკის მომზადებისა და რეალიზაციისთვის ჩამოყალიბებული საინვესტიციო გარემოს შეფასების კრიტერიუმების მკაფიოდ განსაზღვრა, ეკონომიკური რეალიების ადეკვატური საინვესტიციო მეთოდური აპარატის შემუშავება და მისი თანმიმდევრულად გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 1. ე. ბარათაშვილი, დ. მაგრაქველიძე, საქართველოში "საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები", თბილისი, 2009;
2. დ. სიხარულიძე, ვ. ჭარაია „უცხოური პირდაპირი ინვესტიციები: თეორია და საქართველოს გამოცდილება“, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2018;
3. 3. ნ. ფუტკარაძე „მართვის თეორია და პრაქტიკა“, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2013;
4. ლ. ქოქიაური „საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა“, ტომი I და II, თბილისი, გამომცემლობა თსუ, 2008;

5. ვ. ჭარაია, „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის (საქართველოს მაგალითზე)“
http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi_economics/vaxtang_charaia.pdf
6. გ. ყუფარაძე „მონოგრაფია „საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში“ თბილისი, 2013 წ. <http://library.iliauni.edu.ge/>
7. რ. გერაძე „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი მხარეები“
8. <https://forbes.ge/blog/214/pirdapiri-ucxouri-investiciebis-dadebiTi-da-uaryofiTi-Sedegebi>
9. რ. გერაძე „ინვესტიცია და რისკი“. 2016; <http://forbes.ge/blog/187/investicia-da-riski>;
10. რამინ ცინარიძე - „რეგიონალური საინვესტიციო პროცესების რეგულირების საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმი“, ბათუმი, 2012წ;
11. ირაკლი მესხი - „უცხოური ინვესტიციები და შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია საქართველოში“, ბათუმი, 2017წ;
12. აზა იფშირიძე - „რეგიონის ინვესტიციურ პოტენციალზე მოქმედი ფაქტორები და მისი ამალღების გზები თანამედროვე ეტაპზე“, ქუთაისი, 2015წ;
13. თეიმურაზ გვეტაძე - „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობა საქართველოში“, თბილისი, 2018წ;
14. გიორგი ყუფარაძე - „საგადასახადო პოლიტიკის გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე; თბილისი, 2016წ;
15. საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყოსა და გარანტიების შესახებ“, თბილისი 1996;
16. საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, თბილისი 2006;
17. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი 2010;
18. Stobaugh R., How to Analyze Foreign Investment Climates. Harvard Business Review, September-october 1969

19. Quak, H. Timmis, Double Taxation Agreements and Developing Countries, Institute of Development Studies, 2018.
20. 19.A.Blonigen, L.Oldenski, N. Sly, Separating the Opposing Effects of Bilateral Tax Treaties, NBER Working Paper 17480. National Bureau of Economic Research Inc, 2011.
21. ინტერნეტ მისამართები:
22. www.parliament.ge
23. www.economy.ge
24. www.geostat.ge
25. www.mof.ge
26. www.mfa.gov.ge
27. www.nalogi.ru
28. <http://ec.europa.eu>
29. www.oecd.org;
30. www.worldbank.org
31. www.doingbusiness.org
32. 11.<http://www.stiglitz-sen-fitoussi.fr/en/index.htm>